

გვანცა ქეშიკაშვილი

ლოყნიჯარა მთოქსოვრი თჳნირასუცსა  
ცინსოწარა სსუხსცრი ზიქსსა



გვანცა ქეშიკაშვილი

ლოყინჯაძე მთქსოვი თქნოქს  
ცისქოქსა სქსქსქსი სქსქს

**ვუძღვნი ჩემი შვილის  
ვახო გიორგელაშვილის ხსოვნას**

გვანცა ქეშიკაშვილის ლიტერატურული დებიუტი  
გაზეთ „ქართულ სიტყვასა“ და ჟურნალ „ლიტერატურა და  
ხელოვნებაში“ შედგა. „ლურჯად მოვქსოვდი ფარდაგსა,  
ცისფრად ჩავხატდი ზეცასა“ კი მისი პირველი წიგნია.  
ფშაველმა ქალმა თავისი ფიქრი მშობლიურ კილოზე  
აფერადებულ სტრიქონებში ჩააქსოვა. იმედია ამ წიგნის  
ალალი და წრფელი განცდები მკითხველის სულსაც ჩასწვდება.

*თამარ ჯავახიშვილი*

© გვანცა ქეშიკაშვილი, 2012

**რედაქტორი** – რეზო გოგია

**დაკაბადონება** – დიმიტრი შალუტაშვილი

**კომპიუტერული მომსახურება** – სოფო ტარყაშვილი

ISBN 978-9941-0-4884-5

**პოეზია**



თუ სუბილიც ნიღოღბას თსუგბას.  
ჰოღონი მბღს სეღსჷ, თჷსოთ ჳიბიწრეღბას.  
იწოღე, ყსოგო, სმ ჰჷღესნსე  
ჟთჷსოი სოიღ, სოიღ რას იქნეღს!



## ისე მინდა ვწერო სიტყვა

ისე მინდა ვწერო სიტყვა,  
წარსულიდან მონაბერი ყველა სიტყვა  
გაგახსენოს,  
და გულიდან წამოსული ცრემლი მორევს  
დაემსგავსოს.

ისე მინდა ვწერო სიტყვა,  
მთის ფერდობზე ბუჩქის ძირას  
ამოსულმა,  
პანანინა იის სუნთქვამ რომ შენს გულში  
ყველა სიმი ააჟღეროს.  
მალლა ცისკენ მიმავალი მოგაბრუნოს,  
პატიებას სთხოვდე უფალს,  
დანთებული ხატების წინ სანთელივით  
ჩამოგაღნოს.

ისე მინდა ვწერო სიტყვა, რომ  
ავდარში, ქარიშხალში,  
მზე, ვარსკვლავნი, ცისარტყელა, ყველა  
ერთად დაგანახოს.  
მე ვერ დავწერ სიტყვას ისეთს,  
რაც არ თქმულა,  
რამაც ყველას გული ერთად  
არ ამღერა, არ ატირა, სიყვარულით  
არ აავსო.

მაინც დავწერ სიტყვას ისეთს,  
სინანულით რომ აგავსოს,  
აღსარება უთხრა უფალს,  
წყნარად, მშვიდად მიიძინო.

## **ვასოს!**

მომნატრებიხარ ჭაბუკო,  
ოჰ, რა ლამაზად თოვს,  
ვარდის ცრემლებმა დამნამეს,  
მაისობაა როს.

იას დავხედე მარტის თვეს,  
შენი თვალები შორს  
ენძელას გადახვეოდა,  
ტკბილი ღიმილით მთხოვს,  
როს აფეთქდება ატმის რტო,  
მასში მეძებე მე,  
წითლადა ღვივის ყაყაჩო,  
ჩემი სისხლია ეს,  
სისხლი რომ  
ბარდნის გულიდან, იმიტომ არის დღეს,  
ყაყაჩო ასე წითელი და  
ვარდიც დაგვტირის ჩვენ.

## **ვედრება ღვთისმშობელს**

ღვთისმშობელო დედაო, დედის ოხვრა ხომ გესმის,  
შენზე კარგად ამ ქვეყნად ჩემი არავის ესმის.  
შენი ტანჯვა გერჩია შვილის ტანჯვის შემყურეს,  
რადგან გული დედისა შვილის ტანჯვას ვერ უძლებს.  
შენ იტანჯე ღვთისათვის, ის ხომ შენი შვილია,  
შენი ძალი სინმინდე ჩემთვის ზედვითიურია.  
ღვთისმშობელო დედაო, მეც დედა ვარ შვილისა,  
გვედრები დედაო, ტანჯულ შვილის ენითა,  
შემიფარე კალთის ქვეშ ტკბილ იესოს გვერდითა,  
სიკვდილიც კი ვერ ანგრევს სიტკბოებას შვილისას,  
რადგან ღვთისა დედაო, სიყვარული დედისა  
შენი საკმეველივით მარადიულ ქვეყნიდან  
უშრეტ ლამპრად ანთია თვით იესოს ხელითა!

## თვალს ცრემლი დამდენია

თვალს ცრემლი დამდენია,  
ნამი შერჩა იას სადარს,  
მზის სხივები აირეკლა,  
ცისარტყელა დაიავდრა.  
მთის მწვერვალზე გამჭვირვალე  
ცის ციაგი შეინახა,  
ბარში ბალახს ცვარი ნამად  
ზედ გულისპირს გამიავდრა.  
ჩემს თვალს სხივი გააყოლა,  
მაგ თვალებში ჩაისახა,  
ცისარტყელამ ცის ფერებით  
ორთავ ბაგე გადასერა.  
შვიდფერია შვიდი ფერი  
და შვიდ ფერად დამეფერა.  
ცის ცისფერი აცისფერებს,  
ცის ფერია ეს კამარა,  
შვიდი ციდან ცის ციმციმით  
ციურ თავზე დამეფერა,  
ჩამოგორდა, როგორც ნამი  
დაჭრილ გულზე დამეფერა.  
ვაზის ცრემლებს დაემსგავსა,  
სიყვარულით მომეფერა,  
მზის სხივები აირეკლა,  
თავს ციაგი დამეფერა!

## იცი, კარგო, შენ ვინა ხარ?

აპრილი ხარ, გაზაფხულის მშვენიეა ხარ.

იცი, კარგო, შენ ვინა ხარ?

ამ ფერებში ჩაქსოვილი თილისმა ხარ,

ატმის რტო ხარ, მარჯანი ხარ,

ცის წვეთი ხარ, ფირუზი ხარ,

მინდვრის ბალახს მოდებული

ზურმუხტი ხარ!

ბახუსი ხარ, გაზაფხულის

სურნელი ხარ,

ფიროსმანის მოხატული

ფერები ხარ,

მზის გული ხარ,

მზესუმზირა ვან გოგის ხარ.

იცი, კარგო, შენ ვინა ხარ?

სიყვარულის ედემი ხარ,

კლდის წვეთი ხარ,

წყაროს წყალი ანკარა ხარ,

შენ ჰანგი ხარ, ამა სოფლის

ბულბული ხარ!

## ფიქრებმა გულსა ჩასძახეს

ფიქრებმა გულსა ჩასძახეს,

რასა დადუმდი ბეჩაო,

გახედე მთისა მწვერვალსა,

ნისლები ადევს ბევრსაო.

ზაფხულიც კარსა მომდგარა,

ჯიბრსა არიან ზედაო,

მზეს არ უშვებენ ტიალნი,

ჩამოგვილამეს ზეცაო.

სულსა ხუნდებად აწვანან,

შენ შენსას ჩივი მეტსაო,

ადექი ქალავ, ქარსაცა  
შესთხოვე მათი დაშლაო,  
დაერევიან წიოკოთ,  
მზე გაგვიხარებს გულსაო.

## **სიყვარული**

სიყვარული განა მართლა  
ყველას ასე სწყურია?  
სიყვარული მარჯნის ფერი  
ან ზურმუხტის ფერია,  
გულს აგივსებს ტკბილი გრძნობით,  
ვერ დაიტევ ამ ფერებს,  
დაიღვრები, აჟღერდები,  
ცისარტყელებს გაიფენ.  
ან თვალეი აგამღერებს,  
ანდა თვითონ სიცოცხლე,  
შენ ოცნების ქალს დაეძებ,  
ნუ იჩქარებ, არ შეცდე.  
ოცნებებში მეც კი მსურდა  
ამირანი მყოლოდა,  
ან ნიკალას წმინდა სულის  
სიფაქიზის მხლებოდა.

## **დავეცე? ოჰ, არა**

როდესაც შენს გულს სევდა შეიპყრობს,  
და მოგონება მწარედ აკივლდება,  
ამ სამყაროში სინათლეს ეძებ,  
ჩემთვის კი ყველგან ლაბირინთია.  
დავეხეტები ლაბირინთებში,  
იმედი სხივის არა მშორდება,  
შავი ნისლები ზედ მადნებიან,  
თითქოს საშველიც არაფერია.

დავეცე? ოჰ, არა, ადექი ჩქარა!  
მერე ადგომა ძალზედ ძნელია,  
ლაბირინთია მთელი სამყარო,  
თავის დაღწევა ჩემთვის ძნელია.  
მთელი ცხოვრება ლაბირინთში ვარ,  
ჯერაც გამოსვლა არ მღირსებია,  
თითქოს შევნიშნე სადღაც ბოლოში...  
შუქი ანთია! შუქი ანთია!  
თქვენ გეკითხებით, ეს რა შუქია?  
სააქაოა?.. თუ საიქიო!

## **მოვიარე მთა და ველი**

მოვიარე მთა და ველი,  
ავუყევი მწვერვალს დიდრონს,  
ბილიკ-ბილიკ, მინდორ-მინდორ,  
ჩქარა-ჩქარა ვილაც მიხმობს,  
უფსკრულს ისე გადავახტი,  
როგორც ჯიხვი მშფოთვარ რიონს,  
ქარაფებსაც ავუყევი,  
ვილაც მიხმობს, ვილაც მიხმობს,  
პირიმზეა პირმცინარა და  
ოქროსფერ გობელენს ქსოვს,  
გული ისე შემიტოკდა,  
დამავინწყდა, რომ ვიდექი  
ქარაფის თავს თავს ეულ, მარტო,  
პირიმზე კი მიცინოდა,  
გულს მივსებდა, – ქალავ მიხმობ?



Դեզ ժոնրօս շն՛դհոտ ևուրդս,  
հոտմ սրբահոմն, քահոմնահոմն,  
Ձեզ, շահուհրոսհնն, Եոնահրոսհրոս  
սրհրոս հրոտսբօ րօսհննհոն





## ღამის ტალღებს გამოჰყევი

ღამის ტალღებს გამოჰყევი,  
ზღვაში ვიდექ მე,  
მე ის ტალღა დავიჭირე,  
ხელში შემრჩი შენ,  
ვარსკვლავით აციმციმდი,  
სხივი მაჩუქე,  
მაგ სხივს ძლიერ ჩავეხუტე,  
ისევ შემრჩი შენ.  
ხელებიდან გაქრი უცბად,  
ცას მიაშურე,  
ბადე გტყორცნე, ჩამოგხსენი,  
გულს ჩაგიხუტე,  
გრძნობით სავსე აციმციმდი,  
მეც შემატოკე,  
ამ გულიდან ველარ ნახვალ,  
ჩემი გახდი, ლე.

## რას ვინატრებდი?

რას ვინატრებდი?  
ცისკარსა, ამომავალსა მზიანსა,  
მთასა ქორბუდა ირემსა,  
ქარაფს მჯდომარსა არწივსა,  
ნისლებში მთვლემარ იალბუზს,  
მთვარეს იდუმალს მცინარსა,  
ვაჟას მოხატულ ბუნებას,  
მოლაპარაკე ბუჩქნარსა,  
ბულბულის ხმითა დატკობას,  
ყოილთა ფარდაგს მინდორსა,  
გაფრენილ მიმინოსავით  
ნავარდსა ცასა მზიანსა.

## ხელს გავიწვდი

ხელს გავიწვდი, ვარდი ვკრიფო,  
ეკალს ვიღებ სისხლიანს,  
მინდა იას მოვეფერო,  
ხელებიდან მიფრინავს.  
მინდა ზეცას ჩავეხუტო,  
ვილივლივო ფერებში,  
ჩამუქდება, ნისლისფერი  
ღრუბელი აქვს მიკრული.  
მინდა, მინდა ცისარტყელამ  
მომატაროს ზეკარი,  
წვიმა მოსჩქეფს, ცას იხუტებს,  
არავინ მყავს მშველელი,  
ვისთვის მზეა მართლა მზე და  
ვისთვის კიდეც ავდარი,  
ვერ გავიგე, ვერ გავიგე,  
რატომ ხდება წარმართული ზღაპარი,  
მე ვინამე უფალი და  
მინდა იყოს მართალი,  
მზემ ინათოს, ვარდი ვკრიფო,  
სურნელოვანს ვეფერო,  
ცისარტყელამ ზეკარი და  
ზღვები შემომატაროს.

## უფალი არის, არს და იქნება!

თუ კი შენს გულში ჭრილობის კვალი,  
ისე ღრმად არის, არ ეშველება,  
იცოდე, კარგო, ამ ქვეყანაზე  
უფალი არის, არს და იქნება!  
თუ დაგამარცხა ბოროტმა მაინც,  
ისე დაეცი, ველარა დგები,  
იცოდე, კარგო, ამ ქვეყანაზე  
უფალი არის, არს და იქნება!

თუ დაგიბინდა ნისლებმა თვალი  
ველარც მზეს ხედავ, თვალთ გიბინდდება,  
იცოდე, კარგო, ამ ქვეყანაზე  
უფალი არის, არს და იქნება!  
და თუ გონებამ მაინც გიმუხთლა,  
უფსკრულის პირას მარტო დაგტოვა,  
იცოდე, კარგო, ამ ქვეყანაზე,  
უფალი არის, არს და იქნება!

## **მამას**

რად მიმატოვე ბერავი,  
ფშაველმა კაცმა ეულად,  
რატომ დამტოვე ამ სოფლად,  
ყოველის გავხდი საჯიჯგნად?  
ვიცი, მიყურებ ფშავიდან  
ჩემი შემყურე დარდითა  
ვიცი, ლოცულობ სალოცავს,  
შესთხოვ ქალაის კარგ ყოფას,  
მამა ხარ, მისთვის მოგიხმე,  
შენგან მჭირდება დალოცვა,  
ხან აღმა დავალ, ხან დაღმა,  
სწორ გზაზე მიჭირს გამოსვლა.

## **ცხოვრება ერთი წამია!**

ცხოვრება ერთი წამია,  
ხელი ჩასჭიდე მაგრად,  
ცხოვრება ერთი წამია,  
გაგიფრინდება სწრაფად,  
წამიც გაჩუქებს სიხარულს,  
წამიც მოგიტანს დარდს,  
თუ მოასწარი, მოახტი  
ამ წამის ლამაზ რაშს.

## მტრედი

მინდორსა მჯდომსა, ჩემთვისა  
შემომაფრინდა მტრედიო,  
მხარს შემომაჯდა, ხმა ტკბილი,  
ნამილულუნა, — დელიო!  
თვალეებს ჩამხედა ტკბილადა,  
თან დააყოლა, — ჰერო,  
დამსგავსებხარ ამ ყოილთ,  
ო, დელი, დელი, დელიო!  
მეამა, გულს მომეფინა  
მისი ლულუნი ნრფელიო,  
რა უნდა მექნა, მეც ავყევ,  
ნავილილინე ჰერო!  
ფრთა ფრთას შემოჰკრა ლულუნით, —  
ამყევი ქალავ დელიო,  
მეც ბან ვუთხარი ტკბილადა,  
ო, დელი, დელი, დელიო!

## მე შენ მიყვარხარ

მე შენ მიყვარხარ  
დიდი ხანია,  
ჩემამდე, უნინ,  
იმის წინათაც,  
რა დრო გასულა,  
როგორ მოვთვალო,  
ეს ხომ უშენოდ  
ბევრი ნამია,  
ქარში, ავდარში,  
თოვლის ფიფქებში  
შენი თვალების,  
მზერა შემომრჩა,  
რა დრო გასულა...  
ჩემამდე, უნინ,

ეს ხომ უშენოდ  
ბევრი წამია...  
მხოლოდ თვალების  
მზერა შემომჩა,  
ეს უკვდავების,  
წყნარი ჰანგია.

## **მთიდან ბარათი მივიღე**

მთვარე დაცურავს ღრუბლებში,  
სიო მიმღერის ნანასა,  
მთიდან ნისლეები გამონვნენ,  
ახალს მეტყვიან ამბავსა,  
მთიდან ბარათი მივიღე,  
— რასა შაჰყურებ ბარადა,  
ამოდი მთასა დობილო,  
ზღაპარსაც გეტყვით ლამაზსა.  
ნისლებს გავყევი დობილი,  
მთანი მელოდნენ სადაცა,  
გარს შემომისხდნენ ჯარივით,  
ამაყ ვიყავი ქალაცა.

## **ოცნების კარიბჭე ჩამომენგრა**

ორშაბათს ოცნების კარიბჭე ჩამომენგრა,  
გულმა გულისცემა შეანელა,  
სამშაბათს სული ამიტირდა,  
ქვეყანა თავზე ჩამომენგრა.  
ოთხშაბათს ფრთხილად გავიარე,  
ფანჯრიდან შუქი შემეგება,  
ხუთშაბათს გარეთ გავედი და  
პარასკევს მინდორმა გამიღიმა,  
შაბათმა გვირილები დამიკრიფა,  
კვირას მალლით უფალმა გამიღიმა!



## ვასოს მებოზრებს

ვარსკვლავნო, მიწათ მავალნო,  
სიყვარულ იცით ბევრია,  
ძმობაა თქვენში მთავარი,  
გაუტეხელი ფიცია.  
თელავში ძმობა შეჭფიცეთ,  
დღესაცა საამურია,  
წლებმა ვერაფერ დააკლეს,  
შეგყარათ ერთად ბევრნია,  
ფიცი გაქვთ გაუტეხელი,  
მტკიცეა სიტყვა თქმულია,  
ღმერთმა უმრავლოს სამშობლოს,  
ვაჟკაცნი თქვენი ფერია.

## ფოთოლო, შენი ჭირიმა

— ფოთოლო, შენი ჭირიმა,  
გაზაფხულს მწვანედ ელავდი,  
შემოდგომისას აჭრელდი,  
წითელ-ყვითლადა ღელავდი,  
ზამთრის სუსხმა რომ დაჰბერა,  
ჩამობერდი და გაყვითლდი.  
— ეჰ, კაცნო, კაცნო, მითხარით  
ჩემი რად გაგკვირვებიათ,  
ჩემი ხანმოკლე სიცოცხლე  
თქვენსასა ასჯერ სჯობია.  
მზეს ვეფერები, არ დაგცხეთ,  
ზამთარში ქართან ვჭიდაობ.  
განა არ ვგავართ ერთმანეთს?  
ასე არა ხართ თქვენცაო?  
მანამ ნორჩი ხარ ჩემსავით,  
არც შენ არაფერს არ დარდობ,  
წლებში შესული ფერს იცვლი,  
მუხლშიაც ძალა გეცლება,

ეს შემოდგომა დამდგარა,  
ეს შემოდგომის ბრალია.  
ზამთრის პირას რომ ვცახცახებ,  
ედ გედის ცეკვის მსგავსია.  
ვიცი, მომისვრის ბუჩქებში,  
შენც ხომ ამ გზითა დადიხარ,  
შენი სიბერეც ეს არის,  
მუხლებშიც ძალა გეცლება,  
და სასთუმალთან ჩემსავით  
სტუმარს რომ ელი ზეციდან,  
ჩამოგიჯდება მიქელა  
და სამუდამოდ წაგიყვანს.  
ამიტომ არის, ორთავეს  
სუსხი და ქარი არ გვიყვარს.

## **მონატრება**

მე რომ მენატრები  
ძალიან, ძალიან,  
როგორც მზის სხივი  
დაბურულ ჭალებს,  
მე რომ მენატრები  
უსიტყვოდ, უთქმელად  
ამ მონატრებას  
ვერც გული უძლებს.  
მე რომ მენატრები  
ძალიან, ძალიან,  
როგორც ფიროსმანს  
თბილისის ღამე,  
ფერებით მოხატულ  
თბილისის ქუჩები  
როგორც ტიცინს,  
ტერენტი გრანელს,  
უსიტყვოდ, უთქმელად  
მწყურისხარ ყმანვილო,

შენ ჩემი ნახატი ხარ  
ფერებით სავსე,  
ფერიც გამიწყდა,  
დავკარგე ნახატი  
დავყვები მთვარეულ,  
ლამეულ ბალებს!  
დამისხით! დამისხით!  
იქნებ და ბახუსში  
ვიპოვო ნახატი  
ფერებით სავსე!..

## ალალ მეო

— ალალ მე და ალალ მეო,  
დარდი არაგვს მივეც მეო,  
— ალალ მე და ალალ მეო,  
ღმერთო! გული გამითბეო!  
ჩამახუტე ამ ცხოვრებას,  
გული ღვინით ამივსეო.  
— ალალ მე და ალალ მეო,  
სიყვარულით გვატარეო,  
ღვინი მოგვეც და სიკეთე,  
სიყვარულით აგვავესეო.  
— ალალ მე და ალალ შენო,  
ალალ ვიყოთ ერთადვეო,  
ღვთიურ მადლით მოგვატარე  
ეს წალკოტი ჰარაღეო!

ლოყინჯი იღბით ხელში  
შეიკვანთოდა ცივად.  
შენი თვარები ლოყინჯი  
თითქოს მიშვილდას ზრვივად





## მამ ნულარ გიკვირს ჩემიცა

„აქეთაც ქარაფებია, იქითაც ქარაფებია,  
მაჰკვდები არაფერია, დარჩები არაფერია“,  
ჩამოვარდები, მიგიღებ, გულში ჩაგიკრავ სევდითა,  
რამ შეგაშინა მითხარი, გედიცა კვდება მღერიტა,  
შავ კლდეს შეჰყურებ, გგონია, ვერ შეგაშინებს მტერიცა,  
გულზვიადობას მოეშვი, კლდესაც ეშინის ბევრისა,  
ჩამოვარდება, ჩამოვა შემიერთდება დარდითა,  
იმასაც სტკივა და სტირის, ცრემლად იღვრება ბევრითა.  
კლდემ ვერ გაუძლო ამდენ დარდს,  
მამ, ნულარ გიკვირს ჩემიცა.

## მე მაპატიე

მე მაპატიე, ზედ რომ განვიმს,  
ვერ დაგიფარე...  
მე მაპატიე, ქარიშხალში  
ვერ დაგიფარე...  
მე მაპატიე, თუ ვერ გათბობს  
ჩემი ოცნება...  
თუ ნისლებში ამაყად მდგარ  
მთებს ვერ პოულობ...  
ხეები კრთიან, ცახცახებენ, მზეს შეჰყურებენ,  
ზაფხულის მოსვლას ჩვენზე ძლიერ ელიან თვითონ...  
მე მაპატიე, ზაფხულივით ვერ გაგათბე, ვერ მოგეფერე...  
ჩიტების ჭიკჭიკს ყური უგდე,  
როგორ გალობენ...  
მე მაპატიე, თუ ვერ იგებ მათ ტკბილ ჰანგებს,  
და ყველაფერი, რაც ვერ გავსებს,  
სული ვერ ხარობს...  
მე მაპატიე ეს ცხოვრება ასე მტანჯველი...  
მე მაპატიე, სხვა არაფერს მე შენ არა გთხოვ...  
მე მაპატიე ყველა ცოდვა, უფალო ჩემო!  
და ამიხილე სულის თვალი, მხოლოდ ამას გთხოვ.

## რალაც ქრება, რალაც ჩნდება

რალაც ქრება, რალაც ჩნდება,  
ვილაც სადლაც იბადება,  
მზე გვიცინის სიყვარულით,  
მთვარე ვარსკვლავთ ეფერება,  
წარსულიდან ტკივილს ჩრდილი  
ეფინება, ეფარება,  
მაგრამ მაინც გულში დარდი  
არა ქრება, რალაც რჩება,  
დრო და ჟამი მიჰქრის სწრაფად,  
ფრთაში დაჭრილ არწივს ვგავარ,  
ვერ ვენევი, რალაც მრჩება,  
ეს ოხერი ჩემი დარდი  
თან დამყვება, თან დამყვება.  
ერთხელ იქნებ ისეც მოხდეს,  
ნისლს ვაჩუქო სამუდამოდ,  
ცად ავა და სულ გაქრება,  
ვიცი, ვიცი, ჩამომნამავს,  
რალაც მაინც ან ეს ნამი  
ჩემს წარსულზე ატირდება.  
რალაც ქრება, რალაც ჩნდება,  
სადლაც კაცი იბადება.

## ისე ძლიერ მინდა შენთან

ისე ძლიერ მინდა შენთან  
სიყვარულზე ვმღეროდე,  
რომ აგავსო მთელი გრძნობით,  
ვიოლონის ვუკრავდე,  
აჟღერებულ ყველა სიმში  
ცისარტყელას ხედავდე,  
ან ვან გოგის მზესუმზირებს,  
ან განთიადს ხატავდე,  
ან პირიმზე დამიკრიფო,



ანდა მინდვრებს სერავდე,  
ჩავწვებოდით შიგ ორთავე  
დავტკებოდით დილამდე,  
ცისკრის ზარებს შევხვდებოდით,  
სალოცავებს ვადიდებთ!  
ოცნებებით აგავსებდი,  
ჩამოგიკრეფ ვარსკვლავებს,  
მთვარის შუქზე გატარებდი,  
დაგიტკობდი სულს ისე,  
რომ ვერასდროს დამტოვებდე,  
რომ ვერასდროს წახვიდე!

## **მინა ვარ**

რატომა ჩივი მინაო,  
რატომ მინყრები ტყუილად,  
ხომ იცი, ბევრიც ვინატრო  
შენი გავხდები, მინა ვარ,  
იქნებამც მითხრა ტკბილადა,  
— ნუ შეშინდები ჩემითა,  
ორნივ ხომ მაინც მინა ვართ.  
— შენი არ შემშინებია,  
მეც შენფერი ვარ, მინა ვარ,  
შენზე მავალნი მაშინებს,  
არც მინისანი, არც ცისა,  
არც არაფრისა არიან,  
დადიან ლალად, გტკეპნიან,  
თითქოს ამ გულსა უვლიან,  
დედა ხარ, დედამინა ხარ,  
შვილ სად წაგივალ, შენი ვარ.

\* \* \*

სიზმრად ვნახე ბადრი მთვარე  
ვარსკვლავით მეხვეოდა,  
მამაკაცი თეთრ სამოსში  
გვირილებით მილიმოდა.  
მოკრეფილი ვარსკვლავები  
თავზე გვირგვინად დამადგა,  
ხელში ნაზად ამიტაცა,  
ცას ვარსკვლავად მიმახატა.  
ვარსკვლავების თაიგულით  
დაბლა ფრთხილად ჩამიყვანა,  
ხელთ მეჭირა ვარსკვლავები,  
სანთლის შუქით აკიაფდა,  
გვირილების თაიგული  
თმებში ვარსკვლავს დაემსგავსა,  
ხილვა იყო იმისთანა,  
მასში დავანება მსურდა.

\* \* \*

„დიდება მოთმინებასა შენსა  
უფალო იესო!“  
ქვეყანა ნახდა, დამძიმდა  
ბოროტი ამჯობინესო,  
ძმა აღარ ინდობს ძმასა და  
შვილს დედა აკვლევინესო,  
„დიდება მოთმინებასა შენსა  
უფალო იესო!“  
წაირყვნა ბარი, მთას მისდგნენ,  
ბოროტსა აგლეჯინებსო,  
„დიდება მოთმინებასა შენსა  
უფალო იესო!“  
ოცდაათ ვერცხლად გაგყიდეს,  
რწმენა ურჯულოს მისცესო,

ურჯულოთ სამშობლო ჰყიდეს,  
ოქრო-ვერცხლ მოიძიესო,  
„დიდება მოთმინებასა შენსა  
უფალო იესო!“

ჩვილები ჰყარეს ნაგავზე,  
სხეული გროშად ჰყიდესო,  
„დიდება მოთმინებასა შენსა  
უფალო იესო!“

ღმერთო, შენშია სიყვარულ,  
რწმენა, დათმენა, ისეო!  
სამშობლო შენის წყალობით  
ისევ ჩვენ მოგვეც, იესო,  
ღვთისმშობლის ხვედრი ქვეყანა  
ჩვენამცა დაგვიბრუნდესო.  
„დიდება შენდა უფალო,  
უფალო ჩვენო იესო!“

## თვალუბი

მოლივლივე ლურჯი ზღვა და  
მაგ ბაგეთა ალები,  
სადაც წავალ თან მიმყვება,  
შუქი მწავნე თვალების,  
ალიონზე დაგეძებდი,  
გულში სევდა ვატარე,  
ბარში ია დაგიკრიფე,  
მთები შემოგატარე,  
გადამრია, გადამლალა  
მაგ თვალების ნათებამ,  
მწვანე ფერთა ელვარებამ,  
და განვლილმა წამებმა.

## სიკვდილის ჩივილი

მაღლით მომესმა ტირილი, ზევით ავხედე მზესაო,  
შავი ღრუბელი დამიხვდა, ცუდსა მიქადა ბედსაო,  
ცისარტყელაზეც შავჯექი, მაღლით ამტყორცნა ზედაო,  
მჯდომარე ვნახე სიკვდილი, თვალთ ნიაღვარი სდევდაო.  
— შენ რაღად სტირი, მითხარი, განა გჯობნიან შენაო,  
სატირალი გვაქვს აქ მყოფთა, უცბადა მოგვსპობ ბევრსაო.  
— მეც მაგას ვტირი და ვნაღვლობ, რომ შემიძულეთ მეცაო,  
მარტო დავდივარ ეული, ნაბრძანები მაქვს ესაო,  
ვისი ვარსკვლავიც ჩაქრება, მეც ის მიმყვება ზედაო.  
მეც დავიღალე, ამდენ დარდს განა გავუძლებ მეცაო?  
მეც სიყვარულით დავძრწივარ, რომ დავეხმარო ბევრსაო,  
სანამ ბევრ ცოდვას ჩაიდენს, რომ მივაბარო ღმერთსაო.

## ქალი ხარ!

ქალი ხარ, ო, არა ქალღმერთი იებით,  
მე თქვენგან სიყვარულს, სიყვარულს მოველი.  
ისეთი ნაზი ხარ, სპეტაკი იერით,  
თქვენი შემყურე ცა შეკრთა ცდუნებით.  
ფოთლებმა დახარეს სიმორცხვით გულები,  
უთქვენოდ დაფინეს ხალიჩა ქუჩებში.  
თქვენ გელით, დაიწყოს მუსიკა ვივალდიმ.  
ქალი ხარ? ო, არა, ქალღმერთი იებით,  
გთხოვ, დამიტოვო თუნდ ერთი ნუგეში.

## ზღვის პირას იდგა ფორტეპიანო

ზღვის პირას იდგა ფორტეპიანო,  
შოპენი გრძნობით ვალსს აჟღერებდა,  
ვიოლინოს ხმა ცას მისწვდა მაშინ,  
როს პაგანინის დაკვრა მოსწყურდა.  
სიმორცხვით ტალღა ნაპირს გამოჰყვა,  
ქვებს პანანინებს გაეთამაშა,

ჰორიზონტიდან ჩამავალი მზე  
ორთავეს სხივით ეფერებოდა.  
მუსიკა, წვიმა, მზის ოქროს სხივი,  
სუყველა ერთად ზღვას ადნებოდა.

## დედის გული

დედის გული? უშენობით  
ქვად ქცეული, ფიფქივითაც  
ჩამოდნება.  
შენზე ფიქრში მონატრული,  
ზღვას მორევად შეერევა,  
დედის გული? იფერფლება,  
სანთელივით ნელა დნება.  
დედის გული? იმედ ჩემო,  
უიმედოდ წყალს ნაფოტად  
თან გაჰყვება,  
ღრუბლებიდან ჩამონამავს  
და ცრემლებად დაიღვრება,  
დაკოდილი, ჭრილობიდან  
წვეთწვეთობით დაიცლება.  
სისხლის ღვარი ამ გულიდან,  
არასოდეს განელდება,  
წვეთად, ფიფქად, სანთლად დნება,  
დედის გული? რა ვთქვა, შვილო,  
უშენობით გარდიცვლება.

## გონება და გული

გონებამ გულს ჩამოსძახა,  
— გეყოფა შენით ნანწალი,  
საითაც გულმა გაგწიოს,  
იქით მიიწევ ბეჩავი,  
შენი სიკეთით მეც მღუპავ,

გული ხარ, გული ეული,  
რად გჯერა ამ ქვეყანაზე  
სიკეთე არის რჩეული.  
გულმა ასძახა გონებას, —  
ვერ გიფიქრია გზიანი,  
„ცუდას რად უნდა მტერობა,  
კარგი მუდამ მტრიანი“.

## თვალს ნათელი დამიბინდდა

თვალს ნათელი დამიბინდდა, ნეტავ შვილო რადაო?  
სისხლი წვეთავს ჭრილობიდან, ნეტავ შვილო რადაო?  
გული ტირის, იტანჯება, ნეტავ შვილო რადაო?  
სული დარდით გაიცრიცა, ნეტავ შვილო რადაო?  
დამეკარგა ჩემი შვილი, ღმერთო მითხარ რადაო?  
სად წავიდა, შენთან არის? ღმერთო მითხარ რადაო?  
ის ხომ ჩემი ცხოვრებაა, ველარ ვუძლებ დარდსაო.  
ღმერთო შენის სიყვარულით მეც მამყოფე მანდაო,  
დავემსგავსე ფოთოლცვენას, იცი, შვილო რადაო?  
ვერც მზე მათბობს, გავიყინე, იცი, შვილო რადაო?  
სანთლის შუქი მეფერება, იცი შვილო რადაო?  
ვიფერფლები სიყვარულში, ლოცვა-ვედრებადაო,  
ღმერთო, მსხვერპლად შემინირე შვილის სანაცვლოდაო,  
ჩამახუტე, მომაფერე თვრამეტი წლის ვაჟსაო,  
ღმერთო, მითხარ, მიმანიშნე, რა ვქნა, შვილო რადაო?

## ვარდისფერი წვიმის წვეთი

ბაღში ჩემთვის ვსეირნობდი  
ყურს ვუგდებდი გაზაფხულის  
საოცარ ხმას,  
დამიხატა ათასფერად გობელენი,  
ვიოლონოს ტკბილი ჰანგით მაბრუებდა,  
ციდან ვარდისფერი წვიმის წვეთი

მადნებოდა,  
მასხენებდა სიყვარულის ლამაზ ზღაპარს,  
ვიოლინოს ვარდისფერი ჰანგი  
ციდან წვეთად მადნებოდა,  
მიმღეროდა, სულს მითბობდა.  
იქვე ახლოს იდგა ვილაც  
ჩემთვის უცხო,  
მას თვალებში ვარდისფერი სიყვარულის  
წვეთი ჰქონდა.  
წვიმასავით ელვარებდა,  
ბაგეს, თვალებს უსველებდა  
და ვარდისფრად ელვარებდა.  
თვალს გავეყევი, მის სულს  
ფრთხილად მივეახლე,  
ვიოლონოს ტკბილი ჰანგი იქ  
ისმოდა,  
ანდა იქნებ ხილვა იყო ყველაფერი,  
წავიდა და თან წაიღო  
ვარდისფერი წვიმა ციდან!

## **გმადლობ უფალო**

გმადლობ უფალო, რომ დამბადე  
ამა სოფელში,  
გმადლობ უფალო, რომ გამინათე,  
მომასმენინე ცისკრის ზარები.  
გმადლობ უფალო, რომ მაჩვენე  
მთელი წალკოტი,  
დაბერებული კავკასიონი მუხლჩაუხრელი,  
მთვარე, ვარსკვლავნი, ამომავალი  
მზე, განთიადი,  
რომ თან დამყვება ანგელოზი  
ჩემი მფარველი.  
ათასჯერ მაინც დაცემული წამომაცენე,  
ხელში გეჭირე ყველაზე მეტად გაჭირვებული,




გმადლობ უფალო, არ მიმატოვე  
ცოდვების გამო,  
გმადლობ უფალო, ჩემს გულში ხარ  
დავანებული, და  
შემინყალე მე ცოდვილი შენი  
შექმნილი!

## **რად მინდა ასე ყოფნა**

რად მინდა ასე ყოფნა,  
თუ გამიფრინდა ყველა,  
თუ გულში დამჭრა ბედმა,  
სისხლი მადინა ზღვებად,  
რად მინდა ასე ყოფნა,  
ღმერთო უშველე ყველას!  
არ გაიდარებს ჩემთვის,  
შენთან მირჩევნის ყოფნა,  
მე ველარ ვუგებ სოფელს,  
არც მას ვჭირდები, ვხედავ.

## **ნეტავ რას მთხოვდნენ, რას**

მე ხომ ეს თვალეები სადღაც მინახავს,  
ღმერთო, გამახსენე, ნეტავ სად?  
მე ხომ ეს თვალეები რაღაცას მიყვებოდნენ,  
ღმერთო, გამახსენე, ნეტავი რას?  
რაღაცას მიყვებოდნენ, რაღაცას მაფრთხილებდნენ,  
რაღაცას მეძახოდნენ, ნეტავი რას?  
ჰოი უგუნურო, როგორ ვერ ხვდებოდი,  
ისინი გტოვებდნენ მარტოკას მთლად.  
ახლა დავდივარ, მაგ თვალეებს დავექებ  
ქუჩაში, მინდორში, ცაში და სხვა,  
სხვა თვალეებს ვანყდები, სხვა თვალეები მიყურებს...  
ღმერთო, მაპოვნინე, ღმერთო, გამახსენე,  
ნეტავი რას მთხოვდნენ, რას...



...սեբոս ունիք եւրոյս ուր գրգրուածիւրի,  
Ն'սուրս լոս տսն Ն'սուրո  
Գտնուածիւրի Ն'շոմս Կուրսն!



## ალუჩობის სურნელი

ალუჩობის სურნელში გამახსენდი შენ,  
ყვავილებში ჩაფლული მილიმოდი მე,  
ციდან ნამი გვეპკურა  
ქოლგად ვიქეც მე,  
ჩაგიკარი, ჩაგეხუტე, — არ დასველდე, ლე.  
საოცარი გრძნობით მთვრალი  
ბაგეს გემთხიე.  
აცახცახდი, გული მიცემს,  
— ჩემი იყავ, ლე!  
სიყვარულით დაგათრობ და  
ცასაც გაჩუქებ.  
ალუჩობის სურნელში გამახსენდი შენ,  
ისევ ისე ქოლგად ვიქეცე,  
ოლონდ მყავდე შენ!

\* \* \*

„მწყურიხარ ძლიერ, ძლიერ,  
მწყურიხარ ჩუმად, მალვით“,  
როგორც ირემსა სწყურის  
წყაროს ანკარა წყალი,  
ამაყად მდგარი ჩანჩქერს,  
ზედ ივლებს როგორც ნამი,  
თვალეებით მიმზერს ისე,  
ვერ გავუსწორე თვალი.  
— შემოდი ქალავ ჩემთან,  
უგონ ხარ გარეთ მდგარი,  
წყალსა შეგასმევ ისეთს,  
ყველას დაუდგეს თვალი,  
ჩავეხუტოთა ჩანჩქერს,  
ცისარტყელებზე გავლით,  
უცხად გაქრები, ნახვალ,  
დავრჩები ხახამშრალი.

„მწყურჩხარ ძლიერ, ძლიერ,  
მწყურჩხარ ჩუმად, მალვით“,  
ეჰ, რა ვუთხარი ჩემს ბედს  
ჩანჩქერქვეშ მყოფი რაშით.  
ვერ დაგენევი, გაქრი,  
ნისლებს მიანდე თავი,  
ჩანჩქერქვეშ ვდგავარ ისევ,  
უნწყლოდა ვკვდები კაცი.

## **იასამანი**

მინდოდა მეთქვა დიდი ხნის წინათ,  
თუმც კი ცივი, რომ დავაგვიანე,  
იცი, ძვირფასო, მაშინ, იმ ზაფხულს,  
ცას დაუთოვლავს იასამნები,  
შენ გეცინება, რატომ ან რისთვის,  
ფიქრობ, ეს იყო ჩემი ხილვები,  
და გვირილებიც გვჩუქნიან ღიმილს  
მზის სხივის ფერით გაბადრულები,  
ჰო, ჩემო კარგო, ისე თუ ასე  
მაშინ ის იყო იასამანი.  
ოლონდ ვიყავით ჩვენ სამნი ერთად,  
ცით გვედებოდა თეთრი საბანი,  
უნდა იჩქარო, იქნებ დაასწრო,  
სანამ ამ ციდან თოვლის ფანტელებს  
დაუთოვია იასამნები.

## **დადგება დრო და...**

დადგება დრო და უფალო მე და შენ  
პირისპირ დავუსხდებით ერთმანეთს,  
შენ ჩემი ცხოვრების ფიალას აიღებ და  
გაკვირვებული მკითხავ შენდობით,  
— ნუთუ ეს გული ამდენს იტევდა?

ბეჩაო თავიდანვე მომეკალი წამებით.  
შენ რომ განამეს ხომ კარგად იცოდი,  
ხსნა შენი სულისა იყო ზეცაში,  
მაშ ნულარ მტანჯავ, ხომ იცი ცოდვილი ვარ,  
ადრე თუ გვიან დავსხდებით პირისპირ,  
შენ ჩემი ცხოვრების ფიალას აიღებ და  
ღმერთმანი, შენ იცი, რა სასჯელს მომიხჯი.

## **წვიმა**

წვიმს, რა ლამაზად წვიმს.  
წვიმის წვეთი პანანინა ჩემს  
გულს დასტირის,  
წვიმს, რა ლამაზად წვიმს.  
იქნებ ყველა წვიმის წვეთი  
მხოლოდ ჩემთვის ცრის,  
და ეტყობა მე დამტირის,  
რადგან უფრო წვიმს.  
წვიმს, რა ლამაზად წვიმს,  
წვიმის წვეთი ჰანგს გამოსცემს  
მოქუფრული ცის,  
ღრუბლებიდან ბანი მისცა,  
ჰანგი, ძლიერ ხმის,  
დამისველა ბაგე, თვალი,  
ნიაღვარი მდის,  
ერთად მოვჩქეფთ მალლა ციდან  
მე და წვეთი ცის.

## **სიყვარული ვარდისფერი იყო**

ერთ დროს თურმე სიყვარული ვარდისფერი იყო,  
ის მინდორი დაფარული გვირილებით იყო,  
ყვავილებით მოფენილი ცისარტყელა იყო,  
მერე გაქრა ყველაფერი, შავი ფერი იყო,  
იყო ლურჯი, ზეცა, მიწა,



და ზღვაც ლურჯი იყო,  
წუთისოფლით გატანჯული, ნისლისფერი იყო,  
ზოგან შავი, ზოგან თეთრი, ზოგან მწვანე იყო,  
ჩამორეკა ზეცამ შავად, შავი ფერი იყო,  
გული შავად შემიღება, სულშიც ბზარი მიყო,  
დამკოდა და არ დამინდო, ბედი შავი იყო,  
გაიმეტა ჩემთვის შავი, არც სიკეთე მიყო,  
ასე ბედის ანაბარა გარეთ გზაში ვიყო,  
არც დამინდო, არც დამინდობს,  
სულს ყოვები მიუსია, თითქოს ლეში ვიყო,  
მაგრამ მაინც გავიცინებ, მზემ სიკეთე მიყო,  
ისევ ღმერთმა შემიცოდა და სიკეთე მიყო,  
დამიფარა, შემიცოდა, გულში სითბო მიყო,  
ჩემს სულს ფრთხილად მოეფერა,  
სიყვარული ვარდისფერი იყო!

## **ნეტავი ყორედ მაქცია**

„ნეტავი ყორედ მაქცია,  
გამოვდგებოდი ქვადაო“,  
ქვაცა ვარ, მთაც ვარ,  
სალი კლდეც,  
ასე მარგუნა ბედმაო.  
სალ კლდედ ვიქეცი ყოილი,  
კაბაც შემადნა ზედაო,  
გახუნდა, წყალმა ნაილო  
ჩემი ქალობის სახეო.  
არაგვს ჩავხედე, — მითხარი,  
რად შამამფრცქვენი ტანზეო,  
რა ვარ ან რისთვის დავდივარ,  
თუ არ მაჩვენე სახეო.  
უფრო გამუქდა ტიალი,  
არ შემიცოდა, ვაჰ მეო!  
ჩემი კაბა და ქალობა  
დაღმა მიჰქონდა თავქვეო!

## **ოცნება, ხილვა, ცა**

სადღაც მიჰყვება ჩემი ოცნება,  
სადღაც მიჰყვება ცას,  
გაელაჟვარდა ცისფერ ნათებას,  
ხილვებში იყო ცა,  
ისე მსუბუქი, ისეთი ნაზი,  
გულში ჩაიკრა ცამ,  
ჯერ არ მინახავს, ჰო, არ მინახავს  
ასეთი ლურჯი ცა,  
ჰო, არ მინახავს, ჯერ არ მინახავს  
ოცნება, ხილვა, ცა,  
ერთად ხილულნი,  
ცისფრად ბრწყინავდნენ,  
ოცნება, ხილვა, ცა.

## **ახლა მშვენიერი ვარ**

„მე ლამაზი უკვე ვიყავ,  
ახლა მშვენიერი ვარ“,  
არც ალუბლის კუნწულა ვარ  
და არც მინდვრის გვირილა,  
წლებმა სწრაფად ჩამიქროლეს,  
როგორც ძერამ ზეციდან,  
შემოდგომას მიმასტუმრეს.  
აღარა ვარ მე ლამაზი,  
ახლა მშვენიერი ვარ!

## **ალავერდს ვანთებ მათთვის კელაპტრებს**

ღვთისმშობელს, შევალ, სანთელს დავუნთებ,  
თეთრი გიორგის ავყვები აღმართს,  
წმინდა გიორგის ყველა ტაძარს ვთხოვ,  
ალავერდს ვუნთებ წმინდა კელაპტარს.



ღვთისმშობლის ხატო, წმინდა მარიამ!  
ძე ღვთისა ჩვენო მთისა, ბარისა,  
შენ დაიფარე ყველა სულდგმული,  
შენ დაიფარე მოდგმა კაცისა.  
ორ სანთელს გინთებ, ორ წმინდა სანთელს,  
მათ თავს გავედრებ, სიცოცხლეს მათსას,  
შენ დაიფარე და გაუნათე სული, ცხოვრება,  
მე დაჩოქილი სანთლებს შევყურებ,  
მათ სხივში ვხედავ ხატებას თქვენსას,  
გულში იმედის სხივი მეღვრება,  
რომ არ დამტოვებთ და არ გამწირავთ.  
ღვთისმშობელს, შევალ, სანთელს დავუწთებ,  
თეთრი გიორგის აყვებები აღმართს,  
წმინდა გიორგის ყველა ტაძარს ვთხოვ,  
ალავერდს ვანთებ წმინდა კელაპტრად.

## **ნათელი ფასობს ბნელითა**

ასე მგონია, ვარსკვლავებს  
სულყველას მოვწყვეტ ხელითა,  
დაბლა დავაფენ მინდორში,  
ალარ იქნება ბნელიცა.  
ამით დამთავრდეს იქნება  
ღამე, უკუნი სევდითა,  
მარტო სინათლე იქნება,  
აურზაური ბევრიცა.  
ისე, კაცი რო დაფიქრდეს,  
ნათელი ფასობს ბნელითა.

## **სულის სიფონია**

ცაში ვარსკვლავებს მთვარე ეფერება,  
ყველას გვეფერება მზე,  
ტყეში ამოსულა ობლად ია  
და იმასაც ეფერება მზე.

მზეო თიბათვისა სიყვარულისა,  
ყველას გაგვინათებ გზებს,  
ღამე თუ დაინახავ მთავრეს მოელვარეს  
ან დილის შუქზე მზეს,  
შუაგულ მზეში მთვარეს მოტრფიალეს,  
გვირილით დაფარულ ველს,  
ერთ გვირილაში მთებს გვირილისამ  
შუალამისას მზეს,  
ტაძარში დანთებულ სანთელს მოციმციმეს  
და მის ნათებაში ღმერთს!  
მაშინ შეგიძლია ხმამაღლა გაიცინო  
მთის წვერზე დადგე და ხმამაღლა იყვირო, –  
ბედნიერი ვარ მე!  
ცისარტყელა ვარ, თეთრი გვირილა  
და სხვა რაღა მინდა მე!

## ისე მინდა ვქსოვო წინდა

ისე მინდა ვქსოვო წინდა,  
მთა და ბარი ჩავაქსოვო,  
მოვატარო ეს წალკოტი,  
ყველაფერი ავაჟღერო.  
მოვიკიდო, როგორც გუდა,  
ცისარტყელა მოვატარო,  
მარგალიტი გზადა ვკრიფო,  
თავი ერთად მოვუყარო,  
წარსული და მომავალი,  
ყველაფერი შიგ ჩავტიო,  
ერთი ფერიც რომ გამინწყდეს,  
წყალს ნაფოტად გავატანო?  
ისე მინდა ვქსოვო წინდა,  
საქართველო შიგ ჩავტიო,  
ავაჟღერო, ავამღერო,  
ცას ფერებად მივახატო,  
ჩვენი ზეცა, ჩვენი მიწა  
და ეს ენა ქართული,

რა გგონია, კიდევ არის  
სადმე ერი ზღაპრული?  
გაფანტული მარგალიტი ყველა  
ერთად შევკრიბე,  
საოცრება მაშინ მოხდა,  
როცა ღმერთი ვიხილე!  
გააბრწყინა ყველა ერთად,  
ცისკრის ზარებს რეკავდა,  
დანთებული კელაპტრები  
საქართველოს ლოცავდა.

## სიცოცხლის წამის ფასი

ხეებს გავყურებ ფანჯრიდან ეული,  
ფოთლები მიყვებიან  
ჩურჩულით ლეგენდას,  
მათი შრიალი ცხოვრებას მაგონებს,  
ცხოვრების დასასრულს.  
ჩუმი ფოთოლცვენა  
ყოფილა გაზაფხული, ლამაზი, უჩვეულო,  
ყოფილა შემოდგომა სევდანარევი,  
ოდითგან ყოფილა, სევდა დასერილი,  
ტკივილი ტანჯვისა ჩემზე დანერილი,  
ტკივილი ნიშანია სიმშვიდის მოპოვების,  
ტანჯვა ნიშანია წამების დასასრულის,  
ფოთლებმა მიჩურჩულეს, ჩუმად, ჩურჩულით,  
თუ ტანჯვა არ იცი, არ იცი დასასრული,  
თუ ტკივილს ვერ გაუძლებ, განა გელირსება  
ტკივილის შემდეგ გრძნობა სიხარულის,  
ლეგენდა ცხოვრების, ლეგენდა ფოთლების,  
თუ კი არ იქნება ქვეყნად გაზაფხული,  
აღარც შემოდგომა სევდანარევი,  
თუ კი არ იქნება სიკვდილი გარდასახვის,  
მაშინ არ ექნება სიცოცხლის წამსაც ფასი.

## ოცნება

მთის ფერდობზე გვირილებში ჩაფლული  
შევყურებდი ღამეულ ცას ოცნებით  
ჩამოვხსენი ვარსკვლავები ცის კიდეს,  
ჩავიქსოვე თმაში ციმციმ ნათელი.  
დაცურავდნენ, როგორც ტივი მტკვარზედა,  
ჰანგი მესმა, ჰანგი აუნერელი,  
ზურნაც იყო, დუდუკი და ქალები,  
ყარაჩოხლის ლექსი დაუნერელი,  
მთვარემ ერთი შემომხედა ღიმილით,  
— იოცნებე, ვინ დასჯილა ოცნებით,  
დამაყარა გვირილების წვიმა და  
ჩავიფერფლე, ჩავდნი მთელი გონებით.

## რატომ ჩამუქდა ზეცა

რატომ ჩამუქდა ზეცა,  
რატომ გრიალებს ქარი,  
ეტყობა რაღაც მოხდა,  
ანდა მოხდება მაინც.  
ნისლითა შემობურულა,  
ქარს არ იკარებს ახლოს,  
ეტყობა გულით ტირის,  
ეტყობა გულით დარდობს.  
რატომ ჩამუქდა ზეცა,  
რატომ გრიალებს ქარი,  
ან რატომ ვარ მარტო  
ასე ცის იქეთ ქარი?

## ისეთ ლექსს დავწერ

ისევ ლექსს დავწერ, ქართველნო,  
ცხრათვალა მზითა თბებოდეთ,  
ზამთარში, თოვლში, ქარბუქში  
ია-ენძელას კრეფავდეთ.  
ყველა იარას, ქრილობას  
დედის დალოცვა შველოდეს,  
ამ წუთისოფლის ქაობსა  
ილტოს ჩანჩქერი ფარავდეს,  
მალლით ღმერთ შეგენით და  
ღვთისმშობლის კალთა გფარავდეთ,  
მთაში დამფრთხალი შვლის ნუკრი  
საშველად თქვენკენ მოჰქროდეს,  
ყველა განთიადს ბუღბული  
მარტო თქვენთვისა გალობდეს.

## და პატარა, სულ პატარა ფიფქი ციდან

ცას ავხედე, ლივლივებდა ცისფერებში  
მთის ფერდობზე მზემ გაშალა გობელენი,  
თოვლის თეთრ ფერს ოქროს ფერი აბრწყინებდა  
და ვიფიქრე, – დაუდგიათ აქაც უკვე ოქროს მთები.  
ცის და მთისას ღიმილს გვრძნობდი,  
და მიხმობდნენ ორივენი თავის მხარეს,  
— არ ეშვები ოხერ-ტიალ ამ ცხოვრებას,  
რით მოგხიბლა, ხომ აგივსო დარდით გული?!  
და ვინატრე ვყოფილიყავ ცის ნაგლეჯი,  
ან და ამ მთის სულ პატარა ფიფქი ციდან,  
ცაც ვიყავი, მთის ფერდობიც, მზეც და მთვარეც  
და პატარა, სულ პატარა ფიფქი ციდან.

... Ինչպե՞տե՞ս համարձակ եղևի՞ր. Ինչպե՞տե՞ս ջրհոսքով ելնի՞ր.  
Տե՛ս Ինչպե՞տե՞ս զանազան սեղանի վրա դրած ինչի՞նչ:





## ცას მივაშურებ, ღრუბელს შევირავი

ვაებით ნაგები ცხოვრება დამმსხვრევია,  
სიკვდილის კარიბჭე მართლა შემიღია,  
უფალს ეს კარიბჭე ჩემთვის მოუხურავს,  
უკან დამაბრუნა, ვაება განმიახლდა.  
ჩემი ოცნებები ვილაცას მოუპარავს,  
ჩემი გვირილები ყველა მოუკრეფავს,  
წვიმის წვეთები თავისკენ გაურეკავს,  
ბურუსი, ნისლი ჩემთვის დაუთმია.  
აღარც ფიროსმანს სურს ჩემი დახატვა,  
აღარც ტიცციანი ლექსს აღარ მჩუქნის,  
გრანელიც გამიწყრა, ჩემი არა ხარო,  
ვაჟას ვეხვეწები, იად გესტუმრები.  
სიმები დაუნყდა ჩემს ვიოლონოს,  
პაგანინის ვთხოვ, ერთზე დაუკარი,  
რალა დამრჩენია, თუ არ ვარ სასურველი,  
ცას მივაშურებ, ღრუბელს შევერავი!

## ქათის

ჩემო ანგელოზო, ჩემო ფერია,  
ნეტავ კი იცოდე, რა მშვენიერი ხარ,  
შენი ტუჩები ყაყაჩოს ფერია,  
ზეცას შეხედე, რა მშვენიერია,  
ყველა ცისარტყელა შენი ხვედრია,  
ყველა ვარსკვლავი შენი ბედია,  
ხელი გაშალე, მინდორში გელიან,  
ეს გვირილები შენთვის მღერიან,  
ყველა ტაძარი შენთვის მომილოცავს,  
და ყველა სანთლები შენთვის დნებიან,  
იცოდე, პატარავ, ცა ცისფერია,  
ეს განთიადი ყოველთვის შენია,  
ჩემო ანგელოზო, ჩემო ფერია,  
ნუთუ არ იცი, რა მშვენიერი ხარ,  
ნიავეს ვერ შეგადრი, ეგ ცოტა ნელია,  
ჩემი ანგელოზი ქარივით ცელქია.



\* \* \*

ვიფიქრე გათენდა, ვიფიქრე გათენდა,  
დაიწყო დიდი ხნის ოცნების ახდენა,  
თურმე ნუ იტყვი ეშმაკს არ სძინავს,  
გებრძვის და გულით სურს შენი წახდენა.  
— რას ელი, იმედს? ტყუილად ნუ წვალობ,  
ამას ვერ ხვდები, არ გინდა ირწმუნო.  
იმედი არც იყო, არც როდის იქნება,  
ეს შენთვის მირაჟად, მირაჟად დარჩება.  
— მომშორდი წყეულო, გზას ნუ მიმრუდებ,  
რა ფასად ცდილობ ჩემს სულის წარწყმედას.  
ხარხარი მომესმა, ისეთი საშიში,  
ვიფიქრე ეს გული მართლა გაჩერდა,  
ლოცვა დავიწყე, პირფვარს ვისახავ,  
სად არის წყეული, წასულა, გამქრალა.

## **სიკვდილო, რასა დამყვები**

სიკვდილო, რასა დამყვები,  
რასა შემყურებ მგლურადა,  
რამდენ წამგლიჯე გულიდან,  
რამდენ მიჰგვარე მიწასა,  
ასე წყეული რადა ხარ,  
ან დედა არ გყავს,  
ან და-ძმა?  
დაეხეტები ეული,  
ხელითა თიბავ ბალნარსა,  
როგორც მიმინოს ძერაი,  
ისე დამცქერი თავსადა,  
არ გაგახარებ, ნუ ცდილობ,  
ღმერთი მყავს გულსა სავანედ,  
ტყუილად მიქნევ ცელასა.

## სიტყვიერი მონყალეზა

სიტყვიერი მონყალეზა მინდა შენი,  
რაში ვიხლი მაგ ოქრო-ვერცხლს,  
რაში მარგოს,  
ერთი სიტყვით ამიყვავებ  
მთას და მდელოს,  
სულს მალამოდ მომეფინოს  
იცი კარგო?  
სიტყვა მითხარ, ია-ვარდი  
დამეფინოს,  
ერთმა სიტყვამ ჩემი  
გული აამღეროს,  
ისე მითხარ მაღლიანი  
სიტყვა კარგო,  
რომ მომწყურდეს მე სიცოცხლე,  
სიცოცხლეში ჩავიკარგო.

## გვირილეზი ნვიმდა, ნვიმდა

თივის ზვინში საოცარი სურნელება იდგა,  
მიძინებულს მზემ დამხედა, გამელვიდა იმნამს,  
გაილიმა,  
სხივი მტყორცნა,  
მომეხვია, მითხრა,  
— ფშავლის ქალავ, აქ იყავი,  
მიჯაჭვული ამირანი  
შენთვის მოდის მთიდან...  
გვირილები ნვიმდა, ნვიმდა,  
თუ მესიზმრა, გაღვიძება მართლა  
აღარ მინდა...  
სხივს ავყვებით მაღლა ცისკენ,  
მე და გვირილების ნვიმა.

\* \* \*

„ითხოვდე და მოგეცემარ...“  
რამდენს გთხოვ, რამდენს გავედრებ  
ამ ჩემს უიღბლო თავსაო,  
იქნებამც ყური დაუგდო  
ჩემს ლოცვა-ვედრებასაო,  
იცი, ვიტანჯე ცხოვრებით,  
ვერ გავიხარე მეცაო,  
მხოლოდ ნისლები დამყვება  
არ მანებებენ თავსაო.  
— ღმერთო! უსმინე ცოდვილსა,  
კარი გამიღე მეცაო,  
გზა დამილოცე სავალი,  
ნუ დამინისლავ თვალსაო.

## **გამომინოდე ხელი**

გამომინოდე ხელი, მინად ვიქცევი, ვხედავ,  
„მინა ხარ, მინად იქეც“ იქნებ ადრეა ჯერაც,  
გამომინოდე ხელი, გაფრენას სული ბედავს,  
იქნებ ადრეა ჯერაც, მინად რად ვიქცე ნეტავ?  
ანდა რად მინდა ბეჩავს აქ ყოფნა, დარდი, სევდა.  
გამომინოდე ხელი? დაგაგვიანდათ ყველას,  
მინა ვარ, მინად ვიქეც და იად მოვალ მინდვრად!

## **კიდევაც დაიბადება**

კიდევაც დაიბადება  
მეფე დავითის სწორია,  
რუსთველის, ცოტნეს, ილიას,  
ვაჟას, ტაბიძის ტოლია.  
ნეტამცა მაგ დროს შამასწრო,  
მათ ჰანგი მამასმენინა,  
მრავალჟამიერს დასცხებენ,

არწინი აყეფდებინ.  
ბულბულნი ია-ვარდებით,  
ნაზის ხმით ტკბილად იტყვიან,  
— თქვენ შამოგევლეთ ქართველნო,  
ღვთისთვის ხართ საამურია.  
კიდევაც დაიბადება  
მეფე დავითის სწორია,  
რუსთველის, ცოტნეს, ილიას,  
ვაჟას, ტაბიძის ტოლია.

## **სხვის გულს გაუხდა ზიარად**

ცას შევეკითხე ცისთვალსა,  
სად არის სატრფო, მითხარი,  
ზურგი მაქცია, მიბრუნდა,  
თავისთვის იწყო ციალი.  
ღრუბელსა ვკითხე,  
ძმობილო, იქნებ შენ იცი, მითხარი,  
ღრუბელი უფრო ჩამუქდა,  
ცრემლად დამადნა მტირალი.  
ქარს შევეკითხე, გრიგალსა,  
ყველგან რომ დაჰქრი, მითხარი,  
სად გაქრა, სად დაიმალა,  
იქნებ შენ იცი, მითხარი.  
გაყუჩდა ქარი, ჩაფიქრდა,  
— შენს სატრფოს ნულარ მოელი,  
სხვის გულს გაუხდა ზიარად,  
ნულარ დაეძებ მტირალი.

## შაქაშვილა, დი

ფოთოლივით ავცახცახდი,  
ფოთოლივით ვკრთი,  
ქარიშხალი ასტყდებო,  
ჩამომძახე, დი,  
კიდევ ქარი? კიდევ თოვა?  
შემეშველე, დი,  
მომწყვეტს, სადღაც გადამაგდებს,  
მერე რა ვქნა, დი?  
ისევ ქარი, ისევ თოვა,  
დავიღალე, დი,  
მოდის, მოდი ჩამეხუტე,  
გავიყინე, ისევ ისე  
ავცახცახდი,  
ისევ ისე ცრის.

## მეგობარო

მეგობარო, ვიცი გულში  
დარდი გიდევს უღევი,  
ხანაც შენ ხარ, ხანაც ვილაც,  
ვილაც გადამთიელი.  
ნუ შეაჭმევ დარდს და ტკივილს  
გულს და სულის ნაფიქრალს,  
შენ დალიე, შენ დააშრე  
დარდი დაუღეველი.  
ფიქრი ისევ ფიქრად გრჩება,  
დარდიც ისევ დარდია,  
ამა სოფლის სიყვარული  
ჩვენი საფიქრალია.  
თუ ინამებ, რომ აჯობებ  
ბოროტებას სიკეთით,  
უფალია შენთან ერთად,  
შენი მჯობი ვინ არის!

თუ აჯობე დარდს და ტანჯვას  
სიყვარულით, მითხარი,  
უფალია სიყვარული  
შენი მჯობი ვინ არის.  
მიუტევე, მიუტევე,  
მოგიტევენს უფალი.  
უფალია მიტევება,  
შენი მჯობი ვინ არის!  
დაგანახვებს შენ სავალ გზას,  
ოაზისთან მიგიყვანს,  
მწყემსი ჩვენი შენთან არის,  
კიდევ რამე გინდა სხვა?

## **მომნატრეხია**

მომნატრეხია გაზაფხულის ნაზი სურნელი,  
აფეთქებული, აყვავებული ჩემი მიდამო,  
ნაზი სურნელი, ცის სილაჟვარდე,  
სხივით გამთბარი ჩემი სამყარო,  
წვიმამ დაადნო ხეებზე კვირტი,  
დაეკარგება სილამაზე ყველა სალამოს,  
იასამანთა ხეივანში ლალი სიცილი,  
და ერთი სიტყვა,  
— მე შენ მიყვარხარ ჩემო ლამაზო.  
მომნატრეხია ის გაზაფხული,  
ნაზი სურნელი, ტკბილი სალამო,  
ყვავილნარიდან მომზირალი  
თვალეები ლურჯი,  
ლურჯი იებით მოფენილი ჩემი სამყარო.

\* \* \*

ასე უცხოოდ რად მიყურებ,  
მე უბრალოდ მტრედი ვარ,  
იმ ყვავილის ბარათი მაქვს  
სიხარულით ცრემლიანს.  
ასერიგად, რად მიყურებ  
შენი ტრფობით ემხიანს,  
მიჯნურობა მინდა შენი,  
განა ასე ძნელია...  
ასერიგად რად მიყურებ,  
მე ხომ ძლიერ მწყურისხარ,  
მიყვარხარ და მეყვარები,  
შენ ხომ ჩემი ხატი ხარ!  
ასე უცხოოდ ნუ მიყურებ,  
მოგატარებ ლელიანს,  
მუხლს მოვუყრი ყველა ტაძარს,  
ლოცვას ვეტყვი მაღლიანს.

\* \* \*

ლამე წყვილიაღში ჩაფლულს,  
კარს მიკაკუნებს ვილაც,  
კარი გავაღე, შევცბი  
უცხო ყმა იდგა ჩემთან.  
— გზად დამალამდა ძმაო,  
თივას მივწვები წყნარად,  
არ შეგანუხებ ჩემით,  
დილით ავდგები, ნავალ.  
— სტუმრად მოსულხარ ძმაო,  
ამ შუალამეს ჩემთან,  
მასპინძელ ვარა შენი,  
მოგასვენებ და ნახვალ.  
ლოგინ დაუგე იქვე,  
კაი ყმა ჩანდა, ვხედავ,

მაგრამ ჩვენ ჯიშის არა,  
ვინ უნდა იყოს ნეტავ.  
დილით რიჟრაჟზე ავდექ,  
ყმანვილი არსად ჩანდა,  
გარეთ გავედი ჩქარა,  
ყმანვილი შეშას ჩეხდა.  
— თავ დაანებე ძმაო,  
შემოდი სახლში ჩემთან,  
მასპინძელ ცუდი დაგხვდი,  
სტუმარი ვინ ხარ ნეტავ?  
— დათვისა შვილი მოველ,  
გზად დამილამდა შენთან.  
— ძმისნულ ყოფილხარ ჩემი,  
მასპინძელ გლოცავთ ყველას.

\* \* \*

ვზივარ ჩემთვის მარტო  
ქართან შეჭიდული,  
სიცივე მეფერება  
გულის გამგმირავი,  
ქარს ვეჭიდები  
ცხოვრებგაღეული,  
დავეცი? არა!  
ბედო უკულმართო,  
მთები დამდგომიან  
ძმები უხსოვარნი,  
ამაყად მიყურებენ  
ზვიადნი, მედიდურნი,  
— ჩვენ გვემსგავსები  
ქალავ უტეხელი.



\* \* \*

რა ვნებიანი ღამეა,  
რა ვნებიანი ცა,  
ვნებაში ჩაფლულ ფიქრებს  
ჩამოანვიმდა თავს.  
რა ვნებიანი ღამეა,  
რა ვნებიანი ცა,  
ვარსკვლავთა შორის დაქრის,  
მთვარე დაეძებს მას,  
ქარაფის თავზე მარტოს  
მოეაღერსა ცა,  
პირიმზე ცრემლობს დარდით,  
— მეც მენატრება ცა.  
მთვარემ ჩაიკრა გულში,  
— არ დაგანებებ თავს,  
მათი შემყურე ვნებად,  
ვნებად დნებოდა ზღვა.

\* \* \*

რად გავჩენილვარ ქალადა,  
რად არ მოვედი იადა,  
გაზაფხულს გაგახარებდით,  
მივიძინებდი ნყნარადა.  
ლურჯთვალა იის სიტურფით  
გაგახარებდით ყველასა.  
ავტირდებოდი ავდარში,  
გაეულიმებდი მზიანსა.  
რად არ მოვედი იადა  
მინდორსა, მთებსა, ბუჩქნარსა.  
ლურჯად მოვქსოვდი ფარდაგსა,  
ცისფრად ჩავხატდი ზეცასა.

\* \* \*

სული გიბრწყინოს უფალმა,  
მადლითა სული წმინდითა,  
ისე ბრწყინავდე, ვარსკვლავნი  
გულს ასკდებოდნენ შურითა.

\* \* \*

ვინამცა გაჭირვებულსა  
პურ-ღვინო გზაში ანიოს,  
ვინამცა გაღვიძებულსა  
დღე მადლიანი უსურვოს,  
ვინამცა დაძინებულსა,  
იავნანაი უმღეროს,  
ოჯახი ტკბილი დალოცოს,  
ღვთისა შენევნა უსურვოს,  
ვინამცა მოკეთეს გულში  
ფრთხილადა გულს ეამბოროს,  
ვინამცა ამას იქმოდეს,  
უფალი ყველას ენიოს!

\* \* \*

ფშაველო, სტუმრად მოგიველ,  
რად არ ჩამიკარ გულსაო,  
ეს ერთ ქალაღა გიყურებ,  
ამა სოფლიდან მანდაო,  
„ლომო როგორ ხარ,”  
ამ სიტყვას ნუ მომაკლება ქალსაო,  
მამა ხარ, შენგან მოველი,  
სიტყვას ლამაზსა, კარგსაო,  
გზად გამიყვი უკუნსა,  
ვერაფერს ვხედავ კარგსაო,  
გულსამცა შეეფინები,  
თუ გამაგონებ ხმასაო.

\* \* \*

მე ხომ გულიანად არ გამცინებია,  
დარდმა ამივსო ჯამი,  
მე ხომ გულიანად არ ჩავხუტებულვარ  
ცხოვრებას ავსებულს კარგით,  
დარდმა, ტკივილმა მთლიანად დამფარა,  
არ დამანახვა კარგი,  
მოვეყვები ცხოვრებას ნუხილით, სიმძიმით,  
ფიქრიც გადავღალე ლამის,  
ერთი დამრჩენია?  
ჰო, პატარა იმედი,  
იმედი უსიტყვო ზღაპრის.

\* \* \*

ირმის რქის ყანნად მაქცია,  
ღვინოდა შეგესმებოდე,  
მოგატარებდი ნალკოტსა,  
მთვარეს იღუმალს განახვებ,  
მოლაპარაკე ბუჩქნარსა,  
მთისა არაკსა ისმენდე,  
მზესა დაღვენთილს წვიმადა,  
გულსა წინწყაროს გალობდე.

\* \* \*

კალმახად გადავიქცევი  
ჩანჩქერს მოვეყვები ძირსაო,  
არწივად გადავიქცევი,  
ცხვარსა მოვტაცებ მწყემსაო,  
ჭექა-ქუხილად ვიქცევი,  
ელვით გავგმირავ მტერსაო,  
ბულბულად გადავიქცევი,  
ყველას გაგიტობთ გულსაო,  
მთვარედა ყოფნა მამინდა,  
დაგანახვებდით გზებსაო,  
მზისა სხივს დავემსგავსები,  
განთიადს მოვალ თქვენსაო.



Մոնթատորնը գոյնեւ շահութան օղորտն էր զիսկ  
տուրքուն նահրանիւրս ճ'ուրուսթ Յղւորսն...





\* \* \*

მე ვიცი რაფერ ქალაც ვარ,  
ფიფქებად დავადნები ფიქრებს,  
მყინვარწვერს ავიყვან და ყინულიდან  
ხელით გამოგიკრეფ იებს!

\* \* \*

*„მეკობრე, ბერად შემდგარო...“  
მურმან ლეზანიძე „ჭაბუა ამირეჯიბს“*

მეკობრე ხარ? არა მჯერა,  
უდაბნოს ხარ ბერი დავით!  
დიდხანს, დიდხანს,  
დაეძებდი ოაზისის ლამაზ ნაპირს,  
ჩუმად შენთვის ლოცულობდი,  
მადლიერი ღვთიურ მადლით,  
სად არ იყავ, რა არ ნახე,  
დევნა, შური, ბრძოლა ხანჯლით,  
ყორნის თვალი გიმზეროდა,  
რას დააკლებს არწივს მფრთხალი,  
ბერი ხარ და ისევ გულში  
არწივი ხარ, ბერი დავით!

\* \* \*

მინდორს ეფინა ვარდის ფურცლები,  
თითქოს ბარდნიდა წითლად ზეციდან,  
ღრმა ჭრილობიდან ცრემლმა დამნამა,  
ცრემლადა ბარდნის წითლად ლელიანს.  
სიომ ალერსით აათამაშა,  
ცეკვა მოგვინდა მე და ლელიანს,  
ვარდის ფურცლები ცეკვავდა ტანგოს,  
ცხოვრების რიტმი მიხმობდა დიდხანს,  
ხელი ჩაგჭიდე მოწყურებულმა,  
ვარდი გვეხვია ზურმუხტ ლელიანს,  
ვარდის ფურცლობის დროება არის  
და ჟამი ახალ პაემანისა.

\* \* \*

რაღაც მინდოდა მეთქვა,  
ველარ ვიხსენებ მაინც,  
არ გაგახსენდა კარგო?  
ეს ხომ შენ იყავ მაშინ  
ლურჯი იეზით ხელში!  
მზე დაგვნათოდა ციდან,  
შენი თვალები ლურჯი  
თითქოს მიმზერდა ზღვიდან,  
გადაიქროლა წლებმა,  
ჯვარედინს შევხვდით ერთად,  
ისევე გეტყვი კარგო,  
მე შენ მიყვარხარ დღესაც!

\* \* \*

სიკვდილო, რასა დამყვები,  
რასა შემყურებ მგლურადა,  
რამდენ წამგლიჯე გულიდან,  
რამდენ მიჰგვარე მიწასა,  
ასე წყეული რადა ხარ,  
ან დედა არ გყავს,  
ან და-ძმა?  
დაეხეტები ეული,  
ხელითა თიბავ ბაღნარსა,  
როგორც მიმინოს ძერაი,  
ისე დამცქერი თავსადა,  
არ გაგახარებ, ნუ ცდილობ,  
ღმერთი მყავს გულსა სავანედ,  
ტყუილა მიქნევ ცელასა.

\* \* \*

ვაი, რა კარგი, რა ლალი  
ცხოვრება გამფრენიაო,  
ნავარდსა ვიყავ ჩვეული,  
ორთავ ფრთა მამტეხიაო,  
ველარც მთებს ვუფრენ, ყოილებს,  
ვერც სანთელ დამინთიაო,  
ხმაცა წამერთვა, უხმოდა  
განგება გამწყრომიო,  
ზვავი ჩამონვა ჩემ ფერხთით,  
ცხოვრება დამინგრიაო,  
ვაი, რა კარგი, რა ლალი  
ცხოვრება გამფრენიაო,  
ნავარდსა ვიყავ ჩვეული,  
ორთავ ფრთა მამტეხიაო.

\* \* \*

ლამით ანგელოზი მომიფრინდა,  
ხელით მანიშნებდა გამომყეო,  
ბილიკს დავადექი ნაბიჯ-ნაბიჯ,  
ტაძარს მიმიყვანა შუა ტყესო.  
ჩემ წინ აღმართული ტაძრიდანა,  
გალობა მოისმოდა შუა მთებსო,  
ანგელოზთ გუნდთა ტკბილი ხმები,  
გულსა მიჩქარებდა იმ ღამესო,  
მხარსა შემაფრინდა დალოცვილი,  
— მე დაგიფარავ ყოველ დღესო.  
უფალი ვადიდე და გამოვბრუნდი,  
ერთი ვინატრე, ღმერთმა ამისრულა,  
სახლთან ანგელოზი დამიხვდესო.





# პროტოზა



## სრულიად შამთხვევით

ქუჩა გადატენილი ხალხით. ფეხით მოსიარულეთა ნაკადი არ წყდებოდა. ყველას სახეზე დარდი, ფიქრი, გაჭირვება იკითხებოდა. მივდიოდი და ვფიქრობდი: ერთი სახე მაინც დამანახვა გაღიმებული, თითქოს ყველას რაღაც სტკიოდა.

ვიღაც ისე დამეჯახა, ლამის წამაქცია. ვერც კი მიხვდა დანაშაულს. რაც მოვასწარი ის იყო, ხელი მივანვდინე, შევაჩერე.

— მომიტევეთ, ბატონო, დაგეჯახეთ ამ ქაოსში, ბოდიშს გიხდით.

გამოვბრუნდი და გზა განვაგრძე.

უცნობი წამომენია, შემაჩერა, დამაკვირდა.

— ბოდიში მე უნდა მომეხადა, მაპატიეთ, — ცოტა ხნით გაჩუმდა, — შეიძლება რაღაც გთხოვოთ?

— ბრძანეთ, გისმენთ.

— საოცარია, ასეთი რამ არასოდეს მომსვლია, თუ შეგიძლიათ ცოტა დრო დამითმეთ, ჭიქა ყავაზე გეპატიჟებით.

— თუ თქვენთვის ეს აუცილებელია, იყოს ჭიქა ყავა, მხოლოდ.

იქვე გვერდით კაფეში შემიპატიჟა, ოფიციანტს ყავა და მინერალური წყალი მოატანინა და დაჯდა.

— საოცარია, მიხარია, რომ შეგხვდით, დაგეჯახეთ.

— ბატონო? რა ბრძანეთ?

— მაპატიეთ, ამას რომ გეუბნებით. მე მართლა მჭირდება დახმარება.

— მე რით შემიძლია დაგეხმაროთ ჩემთვის უცხო ადამიანს? მე ხომ არ გიცნობთ.

— მომისმინეთ, ვიცი, უცნაურად ჟღერს, მაგრამ ალბათ მხოლოდ თქვენ შეძლებთ ჩემს დახმარებას.

— მე? კი მაგრამ, როგორ?

— იცით, დიდი ხანია, რაც მარტო ვარ, თან სიძნელეები დამატყდა თავს. გიკვირთ ალბათ ჩემი მხრიდან ასეთი საუბარი.

— არა, ეს ჩვეულებრივი, ადამიანური ქცევაა, როდესაც გინდა ვინმეს გული გადაუშალო, დარდი გაუზიარო, თუნდაც უცხო.

— გმადლობთ, სწორად გამიგეთ. ოჯახი დიდი ხანია რაც დამენგრა, ცოლი გათხოვდა, შვილებიც თან წაიყვანა და ბედნიერიცაა. აი, მე კი ასე არეულ-დარეული დავეხეტები.

შემომხედა იმ ინტერესით, მართლა ვუსმენდი თუ არა.

— ბრძანეთ, გისმენთ.

— არ ვიცი, სად დავუშვი შეცდომა, ეკონომიკურად არაფერი აკლდათ.

— მომიტევეთ, და სულიერ მხარეზე რას მეტყვი? – გაკვირვებით შემომხედა. – მაპატიეთ, ბოლოს როდის იყავით თქვენს ცოლთან ერთად თეატრში, ან ყვავილები როდის მიართვით საჩუქრად? თუ გითქვამთ, რომ ის თქვენი განუყოფელი ნაწილი იყო?

გაოცებული მიცქერდა კაი ხანს.

— ჩვენ ხომ ერთად ვიყავით და...

— ერთად ყოფნა არ არის საკმარისი, მას თავისი სილამაზე და არაჩვეულებრივი სინაზე სჭირდება, ამას სულიერი მოწყალება ჰქვია. მომიტევეთ, ეს ჩემი აზრია და ნუ მიწყენთ.

უცნობი კაი ხანს ჩაფიქრებული მიყურებდა, თავი დახარა.

— იცით, საოცარია, თქვენ რომ შეგხვდით, თან დღეს.

— დღეს? რაიმე მნიშვნელოვანია თქვენთვის?

— დღეს ჩემი დაბადების დღეა.

ამან ძალიან დამაფიქრა.

— ერთი წუთით დაგტოვებთ თქვენი ნებართვით. ახლავე მოვალ.

— არ ნახვიდეთ.

— ხომ შეგპირდით, მოვალ.

გარეთ გავედი, მაღაზიებს დაუწყევი იმის ფიქრში, რა შეიძლებოდა ამ უცხო ადამიანისთვის მეჩუქებინა. წიგნის მაღაზიაში შევედი, თვალი „ჩვენი მწერლობისკენ“ გამექცა. გადმოვიღე ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“, შევაფუთვინე და უკან დავბრუნდი. მაგიდას მივუჯექი. უცნობი წამოდგა.

— მაპატიეთ, არც კი გაგეცანით, მე დათა მქვია.

— სასიამოვნოა ბატონო დათა, თუ ნებას დამრთავთ საჩუქარს გადმოგცემთ. აქ ნახავთ და იპოვით იმას, რასაც ეძებთ, რაც, ვფიქრობ, აუცილებლად გჭირდებათ.

შეცბა, ამას ნამდვილად არ ელოდა.

— ასე შენუხება არ ღირდა.

— ეს ჩემი სურვილი იყო, ასე რომ თქვენ არ შეგიწუხებთ.

— წიგნი? ეს ყველაზე ძვირფასი საჩუქარია, თან, ოჰ, როგორ მინდოდა ამ წიგნის ყიდვა, ვერაფრით მოვახერხე.

— არ მოინადინეთ როგორც საჭიროა.



უცხად შემომიბრუნდა, დამაცქერდა. უხერხულობა ვიგრძენი, მის მზერაში რაღაც ახალი ჩანდა.

— მე თქვენ გიპოვეთ.

— ბატონო? რა ბრძანეთ?

— მე თქვენ გიპოვეთ, მთელი ცხოვრების შემდეგ, ეს სასწაულია. მადლობა ღმერთს!

— თქვენ ჩემი სახელიც კი არ იცით. არც გიკითხავთ. არ გეჩვენებათ, რომ უცნაურია?

— ჰო, მომიტევეთ გეთაყვა, თუ მეტყვით, მაღლიერი დაგრჩებით.

— ლელა.

— ლელა. ჰო, ეს ლამაზი სახელია, ისევე როგორც თქვენ...

— ბატონო დავით, მგონი ქათინაურებზე გადახვედით, თუ მეჩვენება?

— არა, არ გეჩვენებათ და ყოველთვის ასე იქნება.

— როდის ყოველთვის, ვერ მიგიხვდით.

— ლელა, თქვენ თუ გჯერათ იმისა, ადამიანს პირველად ნახულობ და გგონია, მთელი ცხოვრება იცნობ, სულ შენთან ერთად იყო, ერთად მიუყვებოდით ამ ცხოვრების გზას.

— არ ვიცი, ეგ ჩემთვის ჯერჯერობით უცხოა, თუმცა ის, რომ ადამიანი ნახო და შეგრძნება გქონდეს, — მას ხომ დიდი ხანია ვიცნობ, — ამის კი. საკმაოდ დიდხანს ვისაუბრეთ. უკვე გვიანი იყო.

— ახლა დაგემშვიდობებით, გვიანია.

— მიგაცილებთ.

— უარს არ გეტყვით, არ მიყვარს ღამე მარტო სიარული.

დავითმა ტაქსით სახლამდე მიმაცილა.

— ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან, ლელა.

— გისმენთ.

— ტელეფონის ნომერი თუ შეიძლება. არ მიწყინოთ.

— არა, რა საწყენია, მაგრამ იცით, გამიფუჭდა და ახალი არ მიყიდია.

— კარგი, დაგიჯერებთ.

მეტი რა გზა გაქვთ ბატონო ჩემო, — გაიფიქრა ლელამ.

დაემშვიდობა და სახლში ავიდა იმის ფიქრში, რა უცნაურია ცხოვრება, ყველაფერი შეიძლება მოხდეს სრულიად შემთხვევით, თუმცა არა უფლის გარეშე.

დათა კი ჩამჯდარიყო სავარძელში იმის ფიქრში, რომ ცხოვრება მშვენიერია, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებთანაც შეგიძლია გულახ-

დილი იყო, ისაუბრო თავისუფლად და ამ საუბარმა ბევრი რამ გაგაგებინოს, მიგახვედროს, რომ სიტყვას დიდი ძალა აქვს. ალბათ ამას ეძახიან სულიერ მოწყალებას.

რა საოცრად ლამაზად უცხოვრიათ ჩვენს წინაპრებს, რომელთაც ეს სისხლში ჰქონდათ გამჟღადარი.

## საქანელა და სკამი

შემოდგომის თბილი დღე იყო. ეზოში კობტად დადგმული საქანელისკენ გავეშურე. იქვე გვერდით სკამი იდგა.

ვიფიქრე, ცოტას დავისვენებ-მეთქი.

ჩემდა გასაოცრად, საქანელაც ქანაობდა და ცარიელი სკამიც ირწეოდა. თვალებს არ დავუჯერე. ვიფიქრე, მომეჩვენა-მეთქი. ქარი არ იყო და მათი ქანაობა წარმოუდგენელი იყო. ახლოს მივედი, მათ საუბარს მოვკარი ყური.

საქანელა თავისას დარდობდა, სკამი თავისას.

— ეჰ, რა კარგი იყო, ორივე დასხდებოდა, თან ტკბილად ბაასობდნენ. ახლა მეც მაგას ვგავარ, მარტო, თავისთვის რომ დაიარება და ვერც კი მამჩნევს.

— მეც მაგას ვჩივი ზუსტად, — განაგრძო სკამმა. — ასე არ ვარ მეც? პატრონი დავკარგე, ჩემთან არ ჯდება. რომ მოსულიყო, ვილაპარაკებდით და გულზეც ცოტა მოეშვებოდა. მარწუხები აქვს შემორტყმული მაგის გულს.

— ჰო, მეც მაგას ვჩივი, ცოტას დავარწვედი, თან მოვუყვებოდი რაიმე კარგ, ლამაზ ამბავს. იქნებ ცოტა მაინც დაეწყნარებინა ეგ დამძიმებული გული, ცოდოა ამ მძიმე ტვირთის ტარებისათვის, თანაც შემშველებელი რომ არ ჰყავს, ცოდოა, ცოდო.

მიუუახლოვდი, ჩამოვჯექი, ორივეს გადავხედე. შეშფოთებულნი და გაოცებულნი მიყურებდნენ.

— ნეტავ ჩვენი თავი რამ გაახსენა? — წასჩურჩულა სკამმა. — ეტყობა ძალიან დაიღალა.

საქანელაზე გადავწექი და ცას მივაშტერდი. ვერაფერს ვფიქრობდი, არც თავი მქონდა რამეზე ფიქრის, ვიცოდი, ეს ფიქრი ისევ უკან, წარსულში დამაბრუნებდა. ეს კი სულაც არ მინდოდა. სკამს გადავხედე, როგორ ვგავართ ერთმანეთს, ისიც ელოდება, ისიც იცდის.

მეტი რაღა დაგვრჩენოდა, სამივე ფიქრმა წაგვიღო, იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ერთად ვიყავით და საფიქრალი ერთი და იგივე გვქონდა.

ვხედავდი სკამს, ზღვის ნაპირას მარტო, მშფოთვარე ტალღების შემყურეს. საქანელა კი ცას მზის სხივებით იყო დაკიდებული და ღიღინებდა კიდევ, თითქოს არც არაფრის დარდი არ ჰქონდა.

საით წავსულიყავი, რომლის მხარეს, არ ვიცოდი. სკამი მეცოდებოდა, ასე მარტო, მოწყენილი. საქანელა კი მიხმობდა, მასავით მსუბუქი და მონარნარე ვყოფილიყავი.

ვერ მოვისვენე, სკამისკენ გამინია გულმა, ის ხომ მთლად მარტო იყო, მას ყველაზე მეტად ახლა სჭირდებოდა მოწყალება, ნუგეში.

უცბად გამელვძია, ასეთი უცნაური სიზმარი არ მენახა.

საქანელაზე ვინეჯი, გვერდით კი სკამი იდგა ჩაფიქრებული. ხელი გადავნიე, სკამს სახელურზე მოვკიდე. თითქოს იგრძნო სითბო, ყურადღება, გაჩერდა და გაინაბა.

## ფიქრები

ფიქრები? რამდენიც გინდა, რა ფერიც გინდა. ფიქრისთვის შეიქმნა კაცთა მოდგმა, ოღონდ კარგი, ლამაზი ოცნებისა და ფიქრისთვის. გონებამ წამჩურჩულა, – იქნებ დამასვენო ცოტა ხნით მაინც, გეყოფა ამდენი ფიქრი, შენ თუ არ დაიღალე, მე მაინც დამასვენე.

— განა და რას გიშლის ჩემი ფიქრები, ვიფიქრო, ვიოცნებო.

— შენი მუქი ფიქრებისგან ვარ დაღლილი, დამასვენე და შენც დაისვენე, განა შეიძლება სულ რაღაცას ფიქრობდე, ამ ფიქრში სულ რაღაცას ეძიებდე, რაც მოსახდენია შენც კარგად იცი, მაინც მოხდება.

— კი მაგრამ...

— ამას გაგრძელება აღარ უნდა, დაისვენე და დაიძინე, მეც წავთვლემ შენთან ერთად.

— რა გაენწყობა, თუ შენ ასე გინდა, მეტი რა გზა მაქვს, მაგრამ...

— არა! გეყოფა, ახლა დაიძინე, მეც დავისვენებ, ხვალ კი ორივემ ერთად გავაგრძელოთ ფიქრი. ისე კი ხანდახან კარგსაც ფიქრობ სწორედაც, მაგრამ მაგ გადაღლილი გულით ისევ ლაბირინთში ეხვევი. დავისვენოთ.

— ეჰ, ეტყობა საკუთარი ფიქრიც კი გადავღალე.



## „სულითა ვცოცხლობთ ისევ, როცა ლეშითა ვკვდებით“

იყო დღე და იყო ღამე. ცისკარი, განთიადი იმედის მომცემი სიცოცხლის და ახალი იმედიანი ბრძოლის. ოღონდ ბრძოლა იყო, დაუნდობელი ბრძოლა, ომი. რასთან? მიქელ-გაბრიელთან. ღამე კი ჩუმად ქირქილებდა და მწარედ სისინებდა. მალე მოვალ, მალე და შენ ჩემი გახდები, ჩემი სამუდამოდ. მისი მუქი ფერი, მისი გულის მომკვლელი სიბნელე შიშსა და უსუსურობას მატებდა. ასე გრძელდებოდა კარგა ხანს, ის კი იბრძოდა, იბრძოდა განთიადისთვის, მომავლისთვის. არა, ეს ღამეც გათენდება, ამ ღამესაც მოვუგებ ბრძოლას, არ გავახარებ მიქელ-გაბრიელს ჩემზედა. ის, ის საშინელი ღამე კი მართლაც რომ საზარელი იყო, თითქოსდა საათები, წუთები ინელებოდნენ იმისათვის, რომ არ გათენებულყო. აი, ეს ის ღამე იყო მართლაც, ბრძოლამ მწვერვალს რომ მიაღწია. იბრძოდა თვითონ და იბრძოდა ყველა. მიქელ-გაბრიელი კი თურმე სასთუმალთან იჯდა თავისთვის და იღიმებოდა.

— ჩვენი ხარ ამ ღამით, ჩვენი, ეს ბრძოლა ბოლოა და ეს ბრძოლა ჩვენ მოვიგეთ. იყო არწივის დაცემა. ფრთაში დაჭრილი ძირს დაცემული ადგომასა და ფრენას რომ ვერ ახერხებს. თითქოსდა ზვავი ჩამონვა იმ შუალაშეს და მისი შეჩერება შეუძლებელი ხდებოდა.

სული ეყრებოდა სხეულს. ვუყურებდი სულისა და სხეულის ბრძოლას და ვხვდებოდი, აი ეს არის ის, რაც ღმერთმა მოგვცა და ისევ თვითონვე იბარებს. თვალეები კი სხვას მეუბნებოდნენ. მისი თვალეები საოცრად ლამაზი და შეშფოთებული იყო. არა, არც კი იფიქროთ შეშინებული, არა, უბრალოდ გაოცებული და გაოგნებული. ის ხედავდა იმას, რასაც ჩვენ ვერც ვხედავდით და ვერც ვგრძნობდით. სადღაც შორს იყურებოდნენ, თითქოს დამშვიდდა, თითქოს ხორცისა და სულის შეთანხმება ხდებოდა, თითქოს ზავი დაიდო მათ შორის, ზავი, მშვიდად დაშორებოდნენ ერთმანეთს. ჩუმად გაისმა მისი სულის ჩურჩული:

„სულითა ვცოცხლობთ ისევ,  
როცა ლეშითა ვკვდებით“.

შეხედა თავის სულს მწვანე ლამაზი თვალეებით და თვალეებითვე უთხრა:

„სული მადარდებს მე, სული,  
იმისი ყოფა-თვისება“.

„მნამს, მარად მინამებია,  
მუდმივ სიცოცხლე სულისა“.

ეს იყო და სულმა დატოვა ის, როგორც ფოთლების ჩუმი შრიალი, გა-  
იშრიალა მის სხეულში, მთლიანად შეატოკა, თითქოს ემშვიდობებოდა  
და ცას, გამჩენს მიაშურა.

„ცა და ხმელეთის გამჩენმა  
აქცია შუქურ-ვარსკვლავად,  
დააბინავა ცაზედა“.

არავინ იცის, ეს ბრძოლა მოგებული იყო თუ წაგებული, უფლის გარდა.

„არ უყვირია სხვებივით  
ეს მაღლი დამითესია,  
ყოფილა ჩუმად თავისთვის,  
როგორც ვაჟკაცის წესია“.

.....

„ლონესთან ჭკუაც დიდ ჰქონდა,  
გული ხომ ჰქონდა ლომისა“.

რჩება მონატრება, ტკივილი, სიყვარულის ტკივილი. ის კი გახარებუ-  
ლი იმ ვარსკვლავს ეხუტებოდა უკვე, რომელიც იქ იმ მარადიულ სასუ-  
ფველში ფიალით ხელში ელოდებოდა და ასე პაპა და შვილიშვილი ერ-  
თად მიაბიჯებდნენ ზეციურ სასუფველში, ღიმილით, სიყვარულით,  
ერთმანეთის ფერებაში, იქ, სადაც მხოლოდ მართალნი განისვენებენ, იქ,  
სადაც მხოლოდ ბედნიერებაა. შეხვედრამდე ჩემო კარგებო. მე ვნახე  
სიკვდილი, მე მას თვალეებში ჩავხედე, ეს არც ისე საშიში ყოფილა და ბო-  
ლოს თუკი ჩვენ ერთად ვიქნებით, განა შეიძლება ამაზე კარგი იყოს რა-  
მე ან შიში ეუფლებოდეს ჩვენ სულებს.

## შეხვედრა წარსულთან

მიუყვებოდა თავჩაქინდრული ქუჩას ღამეულს, ვერ ამჩნევდა ვერც  
სიბნელეს, ვერც ცას ვარსკვლავებით მოჭედილს. ფიქრებს მოეცვა მისი  
გონება. ახსენდებოდა წარსული და გული უფრო უმძიმდებოდა. ის წარ-  
სულის შავი ჩრდილები უფრო მეტი იყო, ვიდრე გამონათება ცისკრის.  
ასე მძიმე ნაბიჯებით მიაბიჯებდა. საით? არც იცოდა და თითქოს არც  
აინტერესებდა, უბრალოდ მიდიოდა დამძიმებული. ასე ეგონა, მხრებზე  
იმდენად მძიმე ტვირთი ჰქონდა აკიდებული, ცოტაც და წაიქცეოდა.  
გზაში ძაღლები ხვდებოდნენ. მისდა გასაოცრად ისინიც კი ვერ ამჩნე-  
დნენ, ერთსაც კი არ დაუყეფია, გაკვირვებულები უყურებდნენ და თვა-

ლებით ეკითხებოდნენ: ეი, შენ, რას დადიხარ ამ შუალამეს ამ ქუჩებში. შენ რა, სახლი არ გაქვს? ან პატრონი არ გყავს? ვერც ამას ამჩნევდა ლელა. მთელი ღამე დადიოდა დამძიმებული ფიქრით და დარდით. გაახსენდა ბებოს ხმა, მისი მოფერება: — ანგელოზი ხარ, გენაცვალოს ბებო. გაელიმა, გაახსენდა ბავშვობა, ბებოს და პაპას ტკბილი კერა, გაჟღენთილი სითბოთი და სიყვარულით გამოუყვა ბავშვობას ტკბილი ღიმილით, მერე კი დაიწყო და რა დაიწყო, ის, რასაც დასასრული არ ჰქონდა და ვერც კი წარმოიდგენდა, თუ მის მტანჯველ ცხოვრებას ასეთი დასასრული ექნებოდა. ტანჯვაზე ტანჯვა ემატებოდა და ასე ნისლში გახვეული ცხოვრობდა, თუკი ამას ცხოვრება ჰქვია. ფიქრში ჩაფლულმა ვერც კი გაიგო, როგორ ავიდა სულ მალლა, მალლა და უცბად საოცრად დიდ უფსკრულს მიაღდა. შეჩერდა, გადაიხედა, — მგონი ვიპოვე კიდეც გამოსავალი... იქ ხომ ის მელოდება, ვისაც ყველაზე მეტად ვჭირდებოდი, ვუყვარდი, აქ რაღა დამრჩენია, მიხედავს ყველა თავის თავს და კარგადაც იქნებიან. მოულოდნელად ხმა მოესმა, ეს ძალიან ნაცნობი ხმა იყო, — არა შვილო, ნუ, ნუ იზამ მაგას. — მამა?! შენ? აქ საიდან გაჩნდი? — არა შვილო, განა ტყუილად გასწავლიდი, რომ დაცემა არავის შვენის, არც კაცსა და არც ქალსა. მე შენ სულით ძლიერი მეგონე და მჯეროდა.

— ასეც იყო, სულიც დამძიმდა და მისი ტარება მარტოს აღარ შემიძლია, არა მამა. მამა მიუახლოვდა ლელას, ხელი მოჰხვია, მოეფერა. კი იცოდა თავისი შვილის უბედური ცხოვრების, მაგრამ ამ ფშაველ კაცს ასეთი განადგურებული, დაცემული შვილის ყურება არ შეეძლო.

– გამომყევი შვილო, – ხელი მოჰკიდა და სადღაც წაიყვანა. ლელაც მორჩილად მისდევდა, რომელიღაც მთის სოფელში აღმოჩნდნენ. საიდანღაც ბავშვის ტირილი მოემსა. ყური დაუგდო, ხმა ბოსლიდან გამოდიოდა, ახლოს მივიდა და რას ხედავს, ვიღაც ახალგაზრდა ქალს ჩვილი, ახლადდაბადებული ეწვინა გვერდში, იქვე ახლოს კი ძროხები, ცხვრები იყვნენ. – ეს მე ვარ შვილო, აი, აქედან დაიწყო ჩემი ცხოვრება, აქ დავიბადე. ლელა გაოცებული დაჰყურებდა ჩვილს და მის დედას. მერე კაცმა ხელი ჩაჰკიდა და გზა გააგრძელეს. აჩვენა, როგორ გაიზარდა, როგორ ჩამოსახლდნენ მისი მშობლები მთიდან ბარში, როგორ მივიდა სკოლაში, რომელიც მეორე სოფელში იყო. ეს პატარა ბავშვი როგორ დადიოდა ყოველდღე ამხელა გზაზე მარტო. როგორ დაამთავრა სკოლა, წამოვიდა იქიდან ქალაქში ინსტიტუტში სასწავლებლად, მერე როგორ დადიოდა ერთი სოფლიდან მეორეში ფეხით მასწავლებლად, სადაც თავისი სიყვა-

რულიც იპოვა და დაქორწინდა. როგორ დაიწყო პირველი ნაშრომის წერა. დღე და ღამეს ათენებდა ცოლთან ერთად, რომელიც მის დაწერილ პატარა ნაგლეჯსაც კი სათუთად ინახავდა. ამ შრომამ ნაყოფიც გამოიღო და ხარისხიც დაიცვა, რის შემდეგაც ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ მუშაკად მიიღეს და უკვე ქალაქში დაბინავდა ცოლ-შვილთან ერთად. აბიტურიენტების მომზადება დაიწყო.

ასე გადიოდა წლები. იმ ფულით საკუთარი სახლიც იყიდა. შვილებიც ეზრდებოდათ. დაიცვა ხარისხი და გახდა პროფესორი, კათედრის გამგე, ენათმეცნიერი. თავის კაბინეტში იჯდა საათობით და მუშაობდა. წერდა მოთხრობებს, ლექსებს, წიგნს, რომელსაც ვაჟას სამყაროში შეჰყავხარ ფრთხილად, ღამაზად და გიხსნის მის შემოქმედებას.

— აი შვილო, ასე იცხოვრეს მამაშენმა და დედამ ერთად წვალებითა და წამებით. აი, ეს არის ჩემი ცხოვრება, — თავის ლელას თვალებში ჩახედა, — შენ ძლიერი ხარ, სულით და ხორციით. მჯერა, მიუხედავად ამდენი ტკივილისა, შეძლებ ცხოვრების გაგრძელებას და ღვთის მადლით შენი საკეთებლის გაკეთებას. იცოდე შვილო, ცხოვრება გრძელდება.

ლელა გონს რომ მოვიდა, ისევ კლდის ნაპირას იდგა მარტო. უკვე თენდებოდა, შეშინდა, უკან დაიხია, ვილაც მოეხვია ნაზად, — იცი, მე შენ გელოდი ამ გზაჯვარედინზე. ლელას უკან არ მიუხედავს, უბრალოდ მიხვდა, რომ ეს ის იყო, ვისაც მთელი ცხოვრება ელოდა, ვისაც დაღლილ-დაქანცული იმედიანად მიეყრდნობოდა. გაახსენდა მამის სიტყვები, ბოლოს რომ უთხრა, — ცხოვრება გრძელდება შვილო. იქნებ აქედან იწყებოდა მისი ცხოვრების გაგრძელება და აქედან იწყებდა თავისი საკეთებლის კეთებას.

## ინტერვიუ საკუთარ თავთან

- ჰო, ჩემთვის ვიდექი.
- მერე, მერე რა მოხდა?
- მერე... – ჩაფიქრდა ცოტა ხნით და თითქოს თავისთვის თქვა, – საყრდენი, მიწა გამომეცალა ფეხიდან.
- მერე, მერე...
- რა მერე, მერე უფსკრულში აღმოვჩნდი.
- კი მაგრამ, თუ უფსკრულში აღმოჩნდი, აქ საიდანღა ხარ, როგორ?
- ეჰ... იქიდან მხოლოდ ერთს, სიყვარულს შეუძლია ამოგიყვანოს.
- რას? სიყვარულს? კი მაგრამ, როგორ? განა სიყვარული რა არის ისეთი, რომ უფსკრულიდან აქ, მიწაზე დაგაბრუნოს?
- ეჰ, ჩემო კარგო, სიყვარული ანგელოზის სადარია და ფრენაც შეუძლია.
- ეგ როგორ?
- აი, ასე ზღაპრული ჯინივით ამოხეთქავს და მიწაზე კი არა, თვით ზეცაში აგიყვანს.
- ვა, როგორ?
- როგორ? მას ის ძალა აქვს, რაც საოცრებას ახდენს, ცაში აგიყვანს, ცისარტყელაზე გატარებს, ზღვებს შემოგატარებს...
- განა რა არის ისეთი, რომ ასეთი ძალა აქვს?
- აქვს და თანაც საოცარი და მისტიკური, შეუძლია აზვირთებული ზღვა დაანყნაროს, მყინვარწვერზე ყინული გააღნოს და ბოლოს იყოს ის, ვინც ხარ.
- კი მაგრამ, ვინ ხარ საერთოდ?
- მე? მე ქალი ვარ. უბრალოდ ქალი, მეოცნებე ან შეიძლება უბრალოდ მეზღაპრე, რომელსაც თავისი ზღაპრების სჯერა.
- და რა არის ზღაპარი? როგორია?
- ზღაპარი ყოველთვის ლამაზი და კარგია, კარგია თუნდაც იმიტომ, რომ ყოველთვის კეთილი ჯობნის ბოროტს.
- აკი სიყვარულიო?
- ჰო, სიკეთე თვით სიყვარულია, თუ სიყვარული არ შეგიძლია, ვერც სიკეთეს გააკეთებ.
- და მაინც...
- რა მაინც, სიყვარული თვით სიკეთეა იმიტომ, რომ გიყვარს ყველა და ყველაფერი, რაც კარგი და ლამაზია, რასაც ბოროტება არ სდევს თან.

— კი მაგრამ, ბოროტება რომ არის?

— კი, არის და იმიტომაც არის ბრძოლა სიკეთის და ბოროტების, სიყვარულის და სიძულვილის.

— და მაინც, რომელი ჯობნის?

— რა გითხრა... ძნელია მაგის თქმა და ახსნა. თუ გული სიყვარულით გაქვს სავსე, სიკეთით, მაშინ ბოროტება ვერ დაგამარცხებს. კი გებრძვის მთელი ცხოვრება, მაგრამ უკვე თვითონ შენ ხდები სიყვარულის ნაწილი და მაინც სჯობნი ბრძოლის შემდეგ.

— მერე?

— რა მერე, ეს ის ძალაა, რომელსაც ამოყავხარ უფსკრულიდან და ცაში დაგატარებს. იქ ხომ მხოლოდ სიყვარულია და მეტი არაფერი.

— მაშ აქ, აქ რაღაა?

— აქ? აქ დიდი სოფელია დამძიმებული დარდით, ტკივილით, უიმედობით და შენც სული გიმძიმდება, სული.

— ეგ ალბათ ძნელია არა?

— ეს ძალიან ძნელია და აუტანელი, ამდენ დარდს და ტკივილს ველარც გული უძლებს.

— მერე?

— რა მერე? ტკივილი და დარდი გჭამს ერთნაირად და აბა მითხარი მაშინ:

გამიფრინდი, ჩემი გული წაიღე,

უგულო კაცს, მითხარ, ქვეყნად რა უნდა?

— გამოდის, რომ გული ყველაფერია?

— არამარტო, „გული უდაბნოა, სული ოაზისი“. ჰოდა დახეტილობ ამ უდაბნოში, ოაზისი რომ იპოვო. მეც მაგ ძებნაში აღმოვჩნდი უფსკრულში.

— ახლა?

— ახლა? ახლა სულმა მითხრა, რომ ოაზისი უკვე ახლოსაა, ძალიან ახლოს. ჰოდა მეც ამოვედი იქიდან. სულის ოაზისი კი თვით სიყვარულია, გაიგე?

— ჰო, აი ახლა კი მივხვდი და გავიგე.

— კიდევ გინდა რამე ჩემგან?

— არა, ამჯერად არაფერი. მაშინ მეც მოვძებნი ჩემს ოაზისს. რას იტყვი, მოვძებნო?

— ჰო, კარგს იზამ, მაგის გარეშე გაგიჭირდება ცხოვრება, ხომ გაგიგონია, ეძიებდე და ჰპოვებდე, ითხოვდე და მოგეცემაო. სულ ეს არის.

## ჩემს საყვარელ ძია ჭაბუას!

არ ვიცი რატომ, მაგრამ ამ ბოლო დროს ხშირად ვფიქრობ თქვენზე. ვიხსენებ თქვენს სტუმრობას მამასთან – ივანე ქეშიკაშვილთან. ვიხსენებ საღამოებს, სადაც სიტბო, სიყვარული იღვრებოდა. ეს ჩემს მახსოვრობაში ჩარჩა ყველაზე საუკეთესო მოგონებად, თქვენ და ძია რეზი – რეზი თვარაძე. მახსოვს, ბაასში ჩუმად როგორ გეპარებოდათ განთიადი. მე, პატარა ბავშვი, კუთხეში მიმალული, როგორ გისმენდი, უხმაუროდ, დაძაბული, თქვენი საუბრის არც ერთი სიტყვა არ გამომპარვოდა, ბოლომდე მესმინა თქვენი საოცარი საუბრისთვის. როგორ ყვებოდით თქვენს ცხოვრებაზე, იმ მძიმე დროზე, რაც თქვენ განვლეთ, მაგრამ ჩემი მეხსიერებიდან არ ქრება თქვენი მტკიცე და იმავდროულად იუმორით სავსე საუბარი. ეს ყველაფერი ამ გადასახედიდან ლამაზ ზღაპრად ჩარჩა ჩემში. იმ დროს ხომ სათნოების და სიყვარულის სახლი იყო იქ. მახსოვს, ვახო რომ დაიბადა, ჩვენთან ჩამოხვედით იმ დღეებში და დიძას სათნებელა აჩუქეთ, რომელიც რელიკვიად დარჩა ჩვენს ოჯახში. ვიცი და მჯერა, დათა თუთაშხია, ეს თქვენ თვითონ ბრძანდებით, ადამიანი, რომელიც ბოროტებას ებრძოდა და მთელი ცხოვრება სიკეთის ძებნაში იყო, სამართლიანობის, რის გამოც იღვენებოდა, ებრძოდნენ, მახეს უგებდნენ. თქვენ თქვენს ოაზისს ეძებდით ამ ცხოვრებაში. ვიცი, რაოდენ ძნელია ამ უსამართლო, მტანჯველ ცხოვრებაში მისი პოვნა და შენარჩუნება, მაგრამ მაინც გეტყვით:

„ვისაც ჩავაცვი, იმან გამხადა,  
ეგ არ იკმარა, ლუკმა წამართვა,  
ზურგი მაქციეს, უპოვარებმა  
სულში ჩაძრომა მოინადინეს.  
ღმერთმა დაგლოცოს ამირეჯიბო,  
ჩემო ძვირფასო ძია ჭაბუა.  
გუდანის ჯვარი შენზედ ლოცულობს,  
ფშაველთა გული გეაღერსება.  
დათას ცხოვრებით შენ დაგვანახვე,  
რომ ვაჟკაცობა რჩეულთ ხვედრია,  
თვითონ ეძებდით ოაზისს ქვეყნად  
და მჯერა შენში მარად იქნება“.

და ვეცდები ღვთის წყალობით თუნდაც ცოტაოდენი მაინც გავაკეთო  
იმ გზაზე, რაც თქვენია, რასაც საოცარ სამყაროში გადაყავხართ, ეს ხომ  
სულის საზრდოა. დავესესხები ბუმბერაზ გალაკტიონს:  
„გული უდაბნოა, სული ოაზისი“.

## სიჩუმის ბრიალი

თამარი მდინარის პირას იჯდა თავის ცხოვრებაზე ჩაფიქრებული. ახ-  
სენდებოდა განვლილი წლები, ახალგაზრდობა, რომელიც ლამაზი უნდა  
ყოფილიყო, მაგრამ ბედისწერამ ასე არ ინება.

გაახსენდა ბავშვობა, ყველაზე ლამაზი დროება, მერე თავისი გათხო-  
ვება და მძიმე, აუტანელი ცხოვრება. ქმარი ერთი შეხედვით ჭკვიანი და  
ნიჭიერი ჰყავდა. ცნობილი მეცნიერი, ყველასთვის საყვარელი ადამიანი.  
ოღონდ მის შიგნით რა ხდებოდა, არავინ იცოდა და ამას მხოლოდ უკიდუ-  
რეს შემთხვევაში იგებდნენ, ისიც ძალიან ახლობლები, თუმცა კი ხმა მა-  
ლე ვრცელდებოდა. ნარკოტიკი ეს ის შხამია, რომელიც მარტო შენ კი  
არა, შენს გარშემო ვინც არის, ყველას წამლავს. ასე ჩუმ ომში გაატარა  
თითქმის 30 წელი. რატომ, თვითონაც არ იცოდა. ეს არც სიყვარული იყო,  
აღარც მოვალეობა, რა იყო, თავადაც არ იცოდა.

იყო შემთხვევები, ქმარი სახლში ისეთი მოდიოდა, ბოდიში და, ტუა-  
ლეტში შესვლის თავი არ ჰქონდა. ამაშიც თამარი ეხმარებოდა. მძინარე  
დაბლა რომ გადმოვარდებოდა ფორიაქში, ისეე თამარის მისახედი ხდე-  
ბოდა, იმხელა კაცი რამენაირად აეჩოჩებინა ლოგინზე და დაეწვინა. ში-  
ში, ბავშვებს არ გაღვიძებოდათ და მამა ამ მდგომარეობაში არ ენახათ.

ხშირად უნახავს, ლუმელთან მჯდომს როგორ გადმოსდიოდა დორბ-  
ლი, ეს საშინელი სანახავი იყო. წამალი რომ შემოაკლდებოდა, სმაზე გა-  
დადიოდა და აბა მაშინ იწყებოდა, რაც იწყებოდა. ყვირილი: დამალევი-  
ნეთ! მომიტანეთ! ქილას რომ მოიყუდებდა ღვინით სავსეს, ისე ჩამოც-  
ლიდა, იფიქრებდი, წყურვილით მოუკლავთ ეს სანყალიო.

ამ ყველაფერს თან ერთვოდა ტყუილი, შემოსავლის გადამალვა, უყუ-  
რადღებობა. გაახსენდა, ერთხელ სხვა ქალაქში იყვნენ, უცხო ქვეყანაში.  
ლევანი იქ დარჩა, წამოსვლისას თამარს ჩანთაში რალაც ჩაუდო და თან  
გააფრთხილა, – არ გახსნა, რომ ჩახვალ, იქ დაგხვდებიან და იმათ მის-  
ცემ, არაფერია საშიში. თამარმაც უთქმელად წამოიღო, ოღონდ მთელი  
გზა ვერ ისვენებდა, რა ედო საფულეში ისეთი, რომ აუცილებელი იყო



წამოღება. გულმა ვერ მოუსვენა, იქვე გახსნა ჩანთა, ჩაიხედა, ქალაღლი გახსნა და ჰო, სწორად მიხვდით, ნარკოტიკი იყო ქალაღლიში გახვეული, უკვე შპრიცში გამზადებული.

ისიც ვერ მოიფიქრა, ტუალეტში შესულიყო და ჩაერეცხა.

აეროპორტში მართლაც დახვდნენ ორნი, ვილაც უცხოები, იქვე გვერდით გაიყვანეს, ჩანთა გაუხსნეს, წამალი ამოიღეს და გაუჩინარდნენ.

თამარი ტაქსში ჩაჯდა, ერთი სული ჰქონდა სახლში მისულიყო და ცოტა ხნით მაინც გამოთიშოდა ამ სამყაროს. წამლები დაღია და ალბათ ორი ან სამი საათი მაინც ეძინა.

ცოტა დაიწყნარა თავი და კარგად დაფიქრდა. მიხვდა, რომ ის საკუთარმა ქმარმა გაიმეტა, რომელიც სიყვარულით შეირთო. განირა, განირა ყველაფრისთვის. იმასაც მიხვდა, რომ სიყვარული დაკარგა, სიყვარულმა ის მიატოვა.

ასე უსიყვარულოდ გააგრძელა ცხოვრება ოჯახთან ერთად.

მწარე წუთისოფელმა ესეც არ აკმარა, შვილი დაელუპა, რომელიც მისთვის ყველა და ყველაფერი იყო, რომლისთვისაც ცხოვრობდა, არსებობდა, სუნთქავდა, რომელიც მისი ყველაზე საუკეთესო მეგობარი და საოცარი ადამიანი იყო. სუნთქვაც კი უჭირდა უმისოდ. წლების შემდეგ ქმარიც დაელუპა და დარჩა ასე ეული.

მის ირგვლივ ქაოსი, და არეულ-დარეული ცხოვრება დარჩა. იმ სულს ეძებდა, რომელიც თამარს სულის ტარებაში დაეხმარებოდა.

ამ ფიქრში იყო თამარი, უყურებდა მდინარეს, მის დინებას, – თევიზი მაინც ვიყო, დამიჭერდა მეზადური და დამთავრდებოდა ყველაფერი, მაგრამ არავინ ჩანდა, თუნდ სიტყვიერი მოწყალება მაინც გაელო მისთვის. გაახსენდა მათი ურთიერთობა, ლევანი ეუბნებოდა, რომ ძალიან უყვარდა და უმისოდ დაილუპებოდა. მათი ლოგინი ლოგინს არ ჰგავდა. არ იყო ნორმალური, ხან საათები გრძელდებოდა იმის ჭიდილში, ქმარს თავი დაეკმაყოფილებინა, თამარისთვის კი ეს წამება იყო. მისთვის ის უფრო დიდი ბედნიერება იქნებოდა, უბრალოდ თავი დაედო ქმრის მხარეზე, ეგრძნო, რომ კაცი ჰყავდა გვერდით, ძლიერი, ვაჟკაცი, მისი საყრდენი. ის ლამაზი წუთებიც გაახსენდა, როდესაც მართლაც თითქმის ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ეს იმდენად მცირე ხანს იყო, ცუდი ფარავდა ამ მოგონებებს და უფრო უმძიმდებოდა გული.

განა არ არის ეს თანამედროვე რომანის სიუჟეტი?

## ვედრება

ღმერთს თავის დროზე ჩემთვის რომ ეკითხა, რას ვინატრებდი, ვეტყვდი: უფალო! აქციე ჩემი სამშობლო სავანედ, სადაც ყველა დაივანებდა სულს, დაიმშვიდებდა, გულს გაიხარებდა. შევთხოვდი მეტი რწმენა მოეცა, მეტი სიყვარული, რათა ყველას სული ფაქიზი და სუფთა, ლამაზი, წმინდა გამხდარიყო. რომ ბოროტს ჩვენს სულებში ვერ შემოედინა, რომ ჩვენს სულებში იის სინაზე და სიტურფე ყოფილიყო, რომ მოეცა ჩემთვის სიძლიერე, სათნობა. ავდარშიც კი ლამაზი იქნებოდა ეს ქვეყანა. ბუღბუღის ხმა მოეცა, რათა, როდესაც ყველას ეძინებოდა, მათ სარკმელებთან ისე ტკბილად მეგალობა, ულამაზესი სიზმრები ენახათ. სხეულს როცა გამხდოდა, ჩემი სული ისეთი სპეტაკი, ნაზი, ღვთიური ყოფილიყო, რომ მასში დაბრუნების სურვილიც არ მქონოდა.

გამოდის, რომ თავად სიკვდილსაც ვაჯობებდი, სულით ძლიერი დავმარცხებდი მას და მარადიული ვიქნებოდი.

უფალო! შენ უკეთ იცი და თუ კიდევ მაქვს ამის დრო და შენის წყალობით საშუალება, მამ მაჩუქე ეს ყველაფერი, მაჩუქე, რათა ამ გადადღილმა სულმა დაისვენოს, სიმშვიდე მოიპოვოს და მშვიდად მოგებაროს!

## სურათი

აყვავებული მინდვრის ყვავილები იმდენად ლამაზი იყო, მათი ყურება არ მოგებზრდებოდა. ცისარტყელის ფერებით გალამაზებულნი თითქოს გიღიმოდნენ და შენც ღიმილი დაგთამაშებდა ბაგეზე. შევყურებდი კედელზე დაკიდებულ ამ სურათს და გულში სითბო მეღვრებოდა. რაღაცას მაგონებდნენ, რაღაც ტკბილი მოგონება ცოცხლდებოდა ჩემში. მახსენდებოდა ბავშვობის წლები და ის ლამაზი მინდორი, ზმანებასავით თავს რომ არ მანებებდა. ლალი სიცილი, უმანკო გული და ის ლამაზი სიცოცხლე, რომელიც მაშინ იქ, იმ მინდორში, ნაკადულივით მოჩუხჩუხებდა. თითქოსდა აქედან იწყებოდა ცხოვრების არსი, ცხოვრების ჰარმონია, ის ჰარმონია, რომელსაც ეს ყვავილები თავისი უჩვეულო ფერებითა და სურნელებით გაძლევდნენ. აქ, აქ იწყებოდა სიცოცხლე, ცხოვრებაც ასეთივე ლამაზი და უჩვეულო გეგვენებოდა. ვერ წარმოგედგინა, რომ ამ სილამაზის მარადიულობას რამე შეცვლიდა ან ზიანს მიაყენებდა. არ არსებობდა ძალა, რომელიც მაშინ დამარწმუნებდა, რომ ყველაფერი დროე-

ბითია, რომ არსებობს ძალა, არსებობს ის, რაც გაანადგურებდა, შეცვლიდა ამ ლამაზ მინდორს. ისევე, როგორც ცხოვრება, ადამიანიც იცვლება, იცვლება ამინდივით, ხან მზე ანათებს, ხან კი წვიმას მიაქვს ირგვლივ ყველაფერი. უცბად გონებამ სადღაც გამაქანა, ეს ლამაზი ყვავილები კიდევ რაღაც სევდიან ამბავს მიყვებოდნენ. არა, არ მინდოდა მათი ჩურჩულის მოსმენა, მაგრამ ისინი მახსენებდნენ იმას, რომ ყოველთვის არ არიან ისეთები, როგორიც ეს მინდორი, როგორიც ეს ულამაზესი ყვავილები. ჩემი გონება გაჯიუტდა, არ უნდოდა გაეხსენებინა ყვავილები, ის ლამაზი ყვავილები, რომლებიც ულამაზო, აუტანელი იყო იმ დღეს. მაგრამ ყვავილები თავისას არ იშლიდნენ და ჩურჩულს განაგრძობდნენ. ჰო, გაიხსენა ჩემმა გონებამ, ეს ის ყვავილებია, შენს თავთან რომ გედგა ლარნაკში. ეს ის ყვავილებია, საბოლოოდ რომ გაგაცილეს ამ ქვეყნიდან. მათში ჩაფლულს არც მე და ალბათ არც შენ მათი სურნელება არ გვესმოდა, მათ ლამაზ ფერებს ვერც ვხედავდით და თითქოს ყველა ერთი ფერის გამხდარიყო, ცისარტყელა გაქრა და მხოლოდ ნისლში იყო გახვეული ყველა და ყველაფერი. გაქრა ბავშვობის მინდორი, გაქრა და რეალობაში გადმომიყვანა ჩემმა გონებამ.

როგორ საოცრადაც არ უნდა მიგაჩნდეს, დგება დრო, ის დღე, როდესაც ყველა ყვავილი, ყველა მინდორი ერთი ფერია და არ არსებობს ძალა, რომელიც დაგანახებებს, რომ ეს ასე არ არის. შევყურებდი ყვავილებს და ერთდროულად ვგრძნობდი მათ სითბოს და სიცივეს, მათ ღიმილს და ტირილს, მათ სილამაზეს და უფერულობას. ჩემში თითქოს ორი ადამიანი იყო ჩასახლებული: ერთი შორეული ბავშვობიდან მეძახდა, არ დაიჯერო, ეს ყვავილები ცისარტყელასავით ლამაზი და თბილია, მეორე კი ილიმებოდა უცნაურად და თავისთვის ცალკე ჩუმად მდგომი გაოცებული თვალებით მიყურებდა, – ნუთუ შენ კიდევ გჯერა ამ ყვავილების, მათი ფერების ან მათი ღიმილის, ისინი ყველა ერთი ფერისაა და მათ არანაირი სურნელება აღარ აქვთ. გაქრა ის, რაც იყო და ახლა მხოლოდ სურათი გიყურებს, სურათი, რომელიც ლამაზია, მაგრამ მათ ღიმილის და სითბოს უნარი აღარ გააჩნიათ. შიშმა ამიტანა, სიცივე ვიგრძენი, გულში სიცარიელეს ვგრძნობდი... არა, ეს მართალი არ არის, მე მინდა იყოს ყვავილები, იყოს ლამაზი მინდორი და ის ლამაზი სიცოცხლე, მაშინ, აი მაშინ, ჩემს ბავშვობაში, რომ მინახავს. იმის გაფიქრებაც კი მაშინებს, რომ არის თურმე წუთები, წამი, როდესაც მათი დანახვა გზარავს. არა, მე მხოლოდ ის ყვავილები მინდა, ის ყვავილები მიყვარს, რომელსაც მინ-

დორში ხელს შეახებ, მოეფერები, დაყნოსავ და იფიქრებ, ეს ცხოვრება მარადიულია, ეს სილამაზე არ წაიშლება, რომ ცხოვრება ისეთივე მშვენიერია, როგორც ეს ყვავილები, ეს მინდორი. ავიხედე და დავინახე ჩემი მეორე მე, ისევ ისე ცალკე იდგა და ისევ ისე მიღიმოდა გაოცებული. თავი დავხარე და ვიგრძენი, ჩემი სული როგორ აწყდებოდა აქეთ-იქით. თითქოსდა ლამობდა განთავისუფლებას, მაგრამ საშველს ვერ პოულობდა, პასუხი არ იცოდა. ყვავილებმა თურმე შეიძლება დიდი ტკივილიც მოგიტანონ და დიდი ბედნიერებაც. იმ წუთას მინდოდა სადმე შორს გავქცეულიყავი, რომ არაფერი გამეგო. გავრბოდი შორს, სადღაც ძალიან შორს, არსაით არ ვიყურებოდი, არ მინდოდა არაფრის დანახვა. — შეჩერდი, მოიხედე, შემოგვხედე, დატკბი ჩვენი ცქერით, სურნელებით და მერე ისევ განაგრძე შენი სავალი გზა. მოვიხედე და ირგვლივ ის მინდორი იყო, ზუსტად ის მინდორი, ბავშვობაში რომ მენახა, ზუსტად ის მინდორი. გავიღიმე, ჩავიმუხლე, ყვავილებში გადავეშვი და ცას ავხედე. მზე მიცინოდა, ყვავილები იღიმებოდნენ, ჩიტები მუსიკის ჰანგებს გალობდნენ. თვალები დავხუჭე, ვიგრძენი, ვიღაც მიყურებდა, გვერდით გავიხედე და ჩემი მეორე მე დავინახე. ხელში სურათი ეჭირა და ცრემლებად იღვრებოდა.

## ლაბირინთი

ოთახი, კედლები და ერთი სარკმელი, სხივის სარკმელი გარე სამყაროსთან კავშირის. ოთახი, კედლები, სამკუთხედები, ოთხკუთხედები, უჩვეულო ფიგურები და ლაბირინთი. დარბის გონება ამ ლაბირინთში, მაგრამ გასასვლელს, იმ გასასვლელს ვერ პოულობს, რომელიც სარკმლის იქით გაიყვანს და სხივს დაანახვებს, სხივს იმედის, სხივს მომავლის. სიბნელე, სიცივე, უიმედობა. ცხოვრება ისედაც ლაბირინთია. ოთახში მარტოს კი უფრო დიდი და ამოუცნობი ლაბირინთი გელობება წინ და გგონია, ამ ლაბირინთს თავს ვერასოდეს დააღწევ. მიუყვები ხაზებს, სამკუთხედებს, უჩვეულო ფერად ფიგურებს და მერე ყველა ერთმანეთში გერევა. გონებაც გეღლება და ამ თავსატეხს თავს ანებებ. მეორე დღეს ისევ თავიდან იწყება ყველაფერი.

კედლები გიყურებენ ცივად, უსულგულოდ, ამაყად: აბა, ეცადე და ჩვენს იქეთ გადი. ეს ჩვენა ვართ ლაბირინთი, ეს ჩვენა ვართ ის, რისი გადალახვაც შენ არ შეგიძლია. მხოლოდ სარკმელი იღიმება, შუქს უშ-

ვებს ოთახში, კედლებზე მზის სხივი თამაშობს და შენც იმედი გეძლევს, იმედი იმის, რომ გარეთ არის სამყარო, მზით გამთბარი, ლამაზი და იმედით სავსე.

სხივს მოჰყვება გონება, გადის ყველა ლაბირინთს და სწვდება იმას, რისი მიახლოებაც წარმოუდგენლად მიაჩნია ყველას. სწვდება ყველას და ყველაფერს და აქ, აქ მთავრდება ყველა ლაბირინთი, ყველა გამოცანაც ამოხსნილია და გონებაც თავისუფლად დანავარდობს გამთბარი მზის სხივით, მომავლის იმედით, ეფერება ყველასა და ყველაფერს, გეფერება შენ და შენთან ერთად ლალად დანავარდობს ცასა და დედამიწაზე. შენთან ერთად გახარებული ივინყებს ოთახს, ლაბირინთს და ნეტარებას მიცემული გრძნობს, ხვდება იმას, რომ შეუძლებელი არაფერია. მოდის შენთან და შენთან ერთად მანდ, მაგ მარადიულ სასუფეველში დანავარდობს, შენთან ერთად გალობს, შენთან ერთად ბედნიერების ნამებსა და წუთებს განიცდის.

ისევ სიცივე, ისევ კედლები და ოთახი რჩება თავისი ლაბირინთით და ყველაფერი ახლიდან იწყება. გონება ახლიდან იწყებს ბრძოლას და ისევ სცდება ამ კედლებს, ოთახს და გადის იქ, სადაც სხივია, სხივი მომავლის, სხივი იმედის და სხივი, რომელიც შენთან მიიყვანს და ჩაახუტებს.

რჩება კედლები, ოთახი და სიცარიელე ცალკე, მარტო, ამ სამყაროდან განცალკევებით. თუმცა კი ამ კედლებმა და ოთახმა გონებას ბრძოლის უნარი შემატა, უნარი სიცარიელიდან ლამაზ სამყაროში გადასვლისა, მიუხედავად ამ დიდი და საოცრად რთული ლაბირინთისა.

## ქალის და ქარის საუბარი

- დავიღალე, — თქვა თებრომ და იქვე დიდ ქვაზე ჩამოჯდა.
- რა არის დაღლა?
- დაღლა? მუხლებში ძალი გეცლება, გული გეღლება, გონება, სული, მთელი სხეული.
- მერე?
- რა მერე, აღარც სიარულის თავი გაქვს, აღარც აზროვნების, თითქოს გული გიჩერდება. გრძნობ, როგორი დამძიმებული გაქვს სხეული, სული. ეს დაღლაა, დაღლილს კი არაფრის თავი აღარ გაქვს.
- მერე?

- რა მერე, ხარ ასე გარინდებული, თითქოს შენს ირგვლივ ყველაფერი გაჩერდა, არაფერი მოძრაობს, ყველაფერი გაყინულია.
- მერე?
- რა მერე, არ იცი, როდემდე იქნები ასე, როდის შეძლებ ნამოდგომას, ფიქრს, დამძიმებული სხეულის ტარებას.
- ჰო, ეგ ძნელი იქნება. აი, მე კი ძალიან ადვილად დავქრივარ, დავნავარდობ.
- შენ? – თებრომ ქარს შეხედა. – შენ რა დაგლლის, იმისთვის არ ხარ, რომ იქროლო, ინავარდო, არ დაასვენო არემარე?! აბა, შენ საიდან გეცოდინება, რა არის დალლა. შენ ხომ არასდროს იღლები.
- არა, მართლა არ ვიცი, უნდა ვიცოდე?
- კარგია, რომ არ იცი, მაგას რა ჯობია. ეს ჩვენ, ადამიანებს, გვემართება ასე.
- შენი სიტყვით, კარგია არა, რომ ადამიანი არ ვარ?
- რა გითხრა, შენთვის ასე ჯობია, უბრალოდ დაქრიხარ. ერთი კია, არც სიყვარული იცი, არც სიბრალული.
- მოიცა, მოიცა, როგორ არ ვიცი. აი, სეტყვა რომ მოდის, იცი როგორ მებრალება ყვავილები?
- ეგ კარგია, გრძნობა გქონია შებრალების, შეცოდების.
- შენ, შენ, თებრო, თუ გეცოდება ვინმე?
- მე? – ჩაფიქრდა თებრო. – შესაცოდი ბევრია ამქვეყნად, ღმერთი ბევრს მფარველობს, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთაც არ სწამთ, გრძნობა არ გააჩნიათ სიბრალულის.
- როგორ, ადამიანებშიც არიან ასეთები?
- არიან და თანაც ბევრნი, ასეთებს ეშმაკი ჰყავთ დაპატრონებული.
- აკი ღმერთიო?
- ჰო, ღმერთი ყველასთვის არის, მათთვისაც, მაგრამ თვითონ არ სწამთ უფლის.
- მერე, მერე რა ხდება?
- მერე იწყება ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის.
- და რომელი ჯობნის?
- არ ვიცი. თუ გნამს, ბოროტი ვერ მოგერევა, ვერ დაგამარცხებს, მაგრამ...
- თუ არა?
- ჰო, თუ არა, მაშინ თვით ბოროტება ჭამს ასეთ ადამიანებს.

- ცოდონი არიან არა?
  - კი, ცოდონი არიან, რადგან არ ესმით, ვერ გაუგიათ, ვერ გაურჩევიათ კარგი და ცუდი ერთმანეთისაგან. იმიტომაც იტანჯებიან.
  - რომ ინრმუნონ, ეშველებათ კი?
  - აუცილებლად, მხსნელი თვით უფალია ჩვენი. რწმენას, სიყვარულს ყოველგვარი ბოროტების დამარცხება შეუძლია.
  - და შენ, შენ, თებრო? ასე რომ ხარ შენ, რა, არ გნამს?
  - კარგი კითხვაა. მნამს, რა თქმა უნდა, მაგრამ ბოროტი მებრძვის, თან ძალიან.
  - მერე რა მოხდება, რა გიშველის?
  - მხოლოდ და მხოლოდ რწმენა, რწმენა იმისა, რომ უფალი სულ ჩემთან არის და წყალობას არ მომაკლებს.
  - ეგ კარგია, მაშინ ადექი, თებრო, ადექი და გაიარე, წადი, სადაც მიდიოდი, მე კი მეგზურად გამოგყვები, მიგაცილებ, თან ვისაუბროთ. აბა, რას იტყვი?
  - ჰო, ასე აჯობებს.
  - თებრო, როგორც იქნა, წამოდგა, ნელა გადადგა ნაბიჯები და გაიარა, თითქოს დამსუბუქდა კიდევ, აზროვნება დაუბრუნდა.
  - იცი, კარგია, რომ შემხვდი, მესაუბრე.
  - მართლა? ამით რა მოხდა?
  - შემეშველე ფეხზე დადგომაში, სწორად აზროვნებაში და ღმერთმა წყალობა გაიღო ჩემზე. იცი, სიტყვას დიდი ძალა აქვს.
  - სიტყვას? განა რა ძალა შეიძლება ჰქონდეს სიტყვას, ის ხომ უბრალოდ ითქმის?
  - არა, უბრალოდ არ ითქმის, მას საოცარი ძალა აქვს, არ გაგიგია: „პირველად იყო სიტყვა“.
  - ჰო, „პირველად იყო სიტყვა“. კარგია.
- ქარმა თებროს თმები აუჩქრა, გაეთამაშა და სახლამდე მიაცილა.

## ფოთოლი

შემოდგომის სუსხიანმა ქარმა დაუბერა. ხეები სიცივისაგან მობუზუ-ლიყვნენ. ფოთლები ლამაზი ბზრიალ-ტრიალით მოფრინავდნენ.

ეჰ, გაზაფხულზე რა ლამაზი ვიყავი! – ფიქრობს ფოთოლი. – ახალგაზრდა, ნორჩი, მწვანედ ელვარებდა ჩემი ფერი და გაშლილ ყვავილებს ეალერსებოდა. მცხუნვარე მზემ გამახმო, ფერიც შემიცვალა, ნითელ-



ყვითელი ფერებით ელვარებს ახლა მთელი ტყე. რა მოხდებოდა ამ ცივი ზამთრისთვის გამძლო და გაზაფხულს მეც შევგებებოდი, მაგრამ რას იზამ, ასეთია დედაბუნება. თითქოსდა დავბერდი, ძალა გამომელია, ერთი ბენო ნიავის დაბერვისასაც კი შიშით მიკრთის გული, სადაცაა ყუნწ-ში მომწყვეტს და დაბლა გადმომისვრის.

ამ ფიქრში იყო ფოთოლი და ქარმაც დაუბერა. აცახცახდა, შეკრთა.

— ნეტავ გადავრჩებოდე ამ ქარს, არ მინდა ძირს დაცემა, დაბლა დაცემულს ადამიანი ადვილად შეგდგება ზედ, ისე გადაგივლის, არც კი იფიქრებს, რომ გტკივა. გაივლის და წავა. სანამ მაღლიდან იყურები, გგონია არაფერი და ვერაფერი მოგერევა, თვით შენი მშობელი ხე გიფარავს ყველაფრისგან. მაგრამ დგება დრო, როდესაც ეს უზარმაზარი მუხის ხეც კი უსუსური რჩება. თითოეული ფოთლის ჩამოგდება და ძირს დაცემა გულს უკლავს. შიშვლდება, ასე ელოდება გაზაფხულს იმ იმედით, რომ ისევ შეიმოსება და გალამაზდება.

მთელი ზამთარი ტოტებანვდილი ევედრება ღმერთს, რომ გაზაფხულზე ისევ სული შთაბეროს და კიდევ ერთხელ გააცოცხლოს. ხე კი შეხვდება გაზაფხულს დიდი სიხარულით, მე ფოთოლი ვარ და ასე შეშინებული ველოდები იმ წამს, როდესაც ჩემი ჯერი დადგება. შორს მაინც არ წამილოს ქარმა და აქვე, ჩემს ხესთან მამყოფოს ძირს დაცემული. ამბობენ, ადამიანებს უყვართ ფოთოლცვენაო. ნეტავი კი ვიცოდე, რა არის საყვარელი ან მოსაწონი, ნუთუ არასდროს გიფიქრიათ, რა მტკივნეულია ჩვენთვის, რა თავზარდამცემი.

სევდას მოუცავს ტყე. მხოლოდ ფოთლების შრიალი ისმის. დაუბერავს ქარი და ჩამოყრის ფოთლებს, თან ეთამაშება. ხან საით წაიღებს, ხან საით, ხანაც მაღლა ატყორცნის, ისევ დააბზრიალებს და ბუჩქებში მიაგდებს.

ის ერთი ლამაზი ფოთოლი ძალასა და ღონეს არ იშურებდა, ხეს რომ არ მოშორებოდა. ძირს ჩამოცვენილ ფოთლებს დაჰყურებდა და ტიროდა, ტიროდა იმის შემხედვარე, თუ როგორ თელავდა მას ადამიანი.

მუხა ოხრავდა მათი შემყურე და ცრემლები ნიაღვარივით ჩამოსდიოდა დიდრონ ტოტებზე. განშორება ძნელიაო, ოხრავდა ხე. მოლოდინი უფრო აუტანელი. არც წვიმა აკლებდა თავის ყურადღებას ხეს. ნიაღვარივით წამოვიდა.

ფოთოლი შეკრთა, მუხამ შეხედა ნაღვლიანი თვალებით, ფოთოლს გული შეეკუმშა, რალაც ცუდს ელოდებოდა მისი თვალები. დაიჭყქა, გაიელვა და მეხი ჩამოვარდა.



ერთი კი ამოიოხრა მუხამ, ჰაერში გაფრენილ ნაზ ფოთოლს ტოტები მოჰხვია, თითქოს გულში ჩაიკრაო და ასე ერთი სიხარულით ხარობდნენ იმით, რომ ერთად იყვნენ ამ ყველაზე მძიმე დროს.

წვიმამ კი ჩააქრო ცეცხლი, მაგრამ აღარც მუხა იყო და აღარც ფოთოლი. მხოლოდ გაზაფხულზე გაახსენდა ტყეს მუხა. გაღვიძებულებმა მაშინლა შეამჩნიეს, რომ ის უზარმაზარი ხე, რომელიც მთელ ტყეს ფარავდა, აღარ იყო. მაგრამ იყო ახალი ყლორტი, რომელიც ამოსულიყო და ერთი ფოთოლი გამოება.

– ჰოი საოცრებავ, ისინი ისევ ერთად არიან! – შესძახა გაცეცხულმა ტყემ.

— მარადისობა გრძელდება! – გაისმა დედაბუნების ტკბილი ხმა.

## ტირიფი

ღამეა, ტყეში სიჩუმეა. დედაბუნებამ დაიწყო ლამაზი, სევდიანი ლეგენდის მოყოლა, ან იქნებ სინამდვილის.

— მოიცათ, გაჩუმდით, – ამოიოხრა მუხამ და ყველა გააჩუმა. – უსმინეთ...

— ერთ ადგილას, ნაკადულთან ახლოს, ცხოვრობდა ტირიფის ხე. მისი ცხოვრება არცთუ ისე წყნარი და მშვიდი იყო. ხშირად ქუხდა მის თავზე, ხშირად ელავდა, არც ქარი აძლევდა მოსვენებას, ლამაზი გვირილებით იყო გარშემორტყმული. ყველაზე ლამაზი გვირილა, მასთან ახლოს მყოფი, ახარებდა და ალამაზებდა მას. ტირიფს თავისი ტოტები გადაეფარებინა მისთვის, რომ არ დასცხოვმოდა, სიცივეს არ გაეყინა, ქარს არ მოეწყვიტა და წყალს არ გაეტაცა სადმე. ეს ტირიფი ერთ დროს ლამაზი ხე ყოფილა თურმე, მერე, ამ ამბის შემდეგ, გადაქცეულა ტირიფად. თავისი ფოთლებით ჩრდილს და მფარველობას არ აკლებდა გვირილებს, ეალერსებოდა, ზღაპარს უყვებოდა, შეჰხაროდა გვირილის თეთრ, სპეტაკ ფერს, მის ლამაზ თვალებს და გული სიყვარულით ევსებოდა. ის კი არ იცოდა ხემ, რომ ამ გვირილას თვრამეტი ყვავილის ფურცელი ჰქონდა მხოლოდ. უყურებდა და ოცნებობდა იმაზე, როდის ამოიყრიდა გვირილა თავის გარშემო პატარა გვირილებს, როდის გაიზრდებოდა უფრო დიდი და უფრო ლამაზი.

დედაბუნება გაჩუმდა და ამოიოხრა, მთელი ტყე სულგანაბული უსმენდა მას.



მის გზა უნდა იქნას თვითონვე გზის მთავარი



— მერე უცბად ქარიშხალი ამოვარდა, ხე გადაეფარა თავის გვირილას და ეცადა მის გადარჩენას, მაგრამ იმ დღეს ქარიშხალი კი არა, ქარბორბალა დატრიალდა. ვერც კი გაიგო ხემ, როგორ მოაცილა ქარმა გვირილას თვრამეტივე ფურცელი და როგორ მოწყვიტა ძირში. ეს რომ ხემ დაინახა, უცბად დაილია, ჩამოდნა, ტოტები დაუნვრილდა, დაბლა ჩამოეკიდა და ცრემლებად დაიღვარა. მისი ცრემლები ნაკადულს უერთდებოდა. ტიროდა ტირიფი, ტიროდა და ტირის დღესაც. ღამლამობით თუ გაიხედავთ ნაკადულისკენ, შუქს დაინახავთ მოციმციმეს. ეს ტირიფია, რომლის ყველა ტოტი სანთლებად გადაიქცა და სიბნელეს ანათებენ, ეძებს ამ სანთლებში თავის გვირილებს. თან შეუმჩნევლად ტირილით ნაკადულთან ერთად ჰყვება თავისი ერთ დროს ღამაზი ცხოვრების შესახებ და ასე დანთებული სანთლად ოხვრაში და წამებაში ატარებს ღამეს. დღისით კი ის ჩვეულებრივი ტირიფია, რომელიც ელოდება ნიავს, იქნებ გვირილის ამბავი მოუტანოს, წვიმას ელოდება, იქნებ მაღლიდან მომდინარემ იცოდეს გვირილის შესახებ რამე.

ტირის ტირიფი, რომელიც ერთ დროს მშვენიერი გაფოთლილი ხე იყო და ხარობდა თავის გვირილასთან ერთად. გაჩუმდა დედაბუნება. სიჩუმე იყო ტყეშიც. ღამე გაცრეცილიყო ლეგენდის მოყოლაში, მთვარე დაპატარავებული მთლად, ვარსკვლავები გამქრალიყვნენ.

მუხამ გაიხედა ნაკადულისკენ და დაინახა, როგორ იღვენთებოდა ტირიფი, როგორ დნებოდა მისი ტოტები სულ უფრო და უფრო. მოესმა მისი სევდიანი ხმა და ნაკადულის ჩუმი ჩურჩული გალობასავით გაისმა ტყეში. თითქოსდა ყველა თავისი გალობით ეფერებოდა გვირილას, რომელიც კიდევ დარჩა მის ირგვლივ.

## გზა

მეც გზა ვარ და თვითონაც გზაზე მივდივარ. მიდის გზა, ოღონდ საით, საით მიდის, არ ვიცი. მიჰყვები, საითკენ, არც შენ იცი და ასე ორივე ერთად მივდივართ, მე და გზა. მიდიხარ უდაბნოში, უცბად ოაზისს დაინახავ, ხეს, ნაკადულს მოჩუხჩუხეს, იფიქრებ, დავისვენებ, ცოტა გულს გავიგრილებ და მერე ისევ გავუყვები წინ. საით? არ ვიცი. იქით. სად იქით? არც ეგ ვიცი. დაჯდომას ვერ ვასწრებ, გზა მეუბნება, ჩქარა ადექი, გამომყევი, თორემ იცოდე, შეიძლება გავქრე და მერე მეც ველარ მიპოვი! ვდგები, გავრბივარ, ვიღლები, მერე ნელი ნაბიჯებით მივუყვები,



ბოლოს დაბლა დაცემული მივბობლავ და ვეხვეწები გზას: მოდი, გევედრები, ახლა მე ვიქნები გზა და შენ, შენ იარე ჩემს მაგივრად. გზა კი დუმს, არც იმას ამბობს, არც ამას, მარტო მანიშნებს: ადექი და წინ, წინ იარე, იქამდე, სადამდეც შეძლებ, როდემდეც შეგიძლია დამინახო. როდესაც ველარ დამინახავ, შენი გზაც აქ დამთავრდება. ოღონდ იცოდე, შენი და სხვა არავისი. მე კი უსასრულოდ ვიქნები და ვიარსებებ, ყველას ვჭირდები და ყველა ჩემით დაიარება ამ ქვეყანაზე. მთელი ქვეყანა ამ გზით მიდის. შენ გგონია, მარტო შენ? არა, ყველა და ამას ვერავინ ამჩნევს. აი, ჩემს შემდეგ კი უკვე ორი გზა იწყება, ამ გზას მართლა ვერ ამჩნევთ. აქ დაცემულს რა გიჭირს, მთავარია იქ არ დაეცე, თორემ ვაი რომ იმ გზით მოგინწევს სიარული, რომელიც ძალიან მოკლეა და ბოლოში მხოლოდ უფსკრული არსებობს. შენ გირჩევნია აქ, ჩემთან ერთად იარო, მერე იმ გზას რომ გაჰყვე, რომელიც დიდი, ლამაზი და საოცარია, რომელსაც თვით საოცრებაში მიჰყავხარ.

გზა ვარ, გზა და ისევ გზად დავრჩები. მოდი, ისევ ისე ერთად ვიაროთ ბოლომდე. ორთავე გზა მოვდივართ ერთად. ბოლოს მივადგებით, დავისვენებთ, თითქოს მაშინ ვიპოვით ხსნას. ის მე დამეხსნება, მე კი იმას. ოღონდ ერთი კია, ისევ მომენატრება ალბათ ამ გზით სიარული.

# ორი ნაწყვეტი ერთი ქალის დღიურიდან

## უფლის წყალობით

ეს მოხდა აგვისტოს დასაწყისში. ის, რასაც მე მოგიხსნებოდა, ნინოს მეხსიერებიდან გამქრალიყო, ეს ყველაფერი შემდეგ მონაყოლია, ოჯახის წევრების და ახლობლების მიერ.

დილით გაღვიძებულს აუტანელი ტკივილი დაწყებია თავში. ერთი, რაც მოუხერხებია, მეუღლისთვის დაუძახია, – მიშველე, ცუდად ვარ.

მადლობა ღმერთს, ჯერ არ ყოფილა წასული სამსახურში, ექიმი იყო და თანაც საკმაოდ კარგი დასტაქარი, დიაგნოსტიკოსი, ყველა გაჭირვებულის და უსახლკაროს პატრონი. რომ შემოსულა, თავზე ჰქონია ხელები წავლებული, თითქმის უგონოდ ყოფილა. მაშინვე დაურეკავს სასწრაფოში. წნევა გაუზომავთ და 170 ჰქონია, ეს მისთვის მაღალი იყო.

დრო არ დაუკარგავს მეუღლეს, სასწრაფოთი წაიყვანეს ჯერ ადგილობრივ საავადმყოფოში, იქიდან კი თბილისის ნეიროქირურგიული საავადმყოფოში.

— საიდან გაიგო ამდენმა ხალხმა არ ვიციო, — ეუბნებოდა ქმარი. აქაც და იქაც სავსე იყო ეზო ახლობლებით. განსაკუთრებით მისი შვილის მეგობრებით. მიუხედავად ხვეწნისა, რომ სახლში წასულიყვნენ, დაესვენათ, არც ერთი არ წასულა და ბოლომდე იქ იყვნენ. პალატაში არავის უშვებდნენ.

ანვერიზმას თან დაერთო მენინგიტი. ეს ათასში ერთი შემთხვევაა. თუ გადაიტანდა, უფრო უკეთესიც იყო, მენინგიტი მაგ დროს, უხეშად რომ ვთქვათ, დაზიანებული ადგილის გარქოვანებას იწვევს. მეხსიერება დაუქვეითდა, გოგო ეუბნებოდა, ერთი, ვინც გახსოვდა, უფროსი შვილიშვილი იყო, მე და მამაც არ გახსოვდითო.

ოპერაციაზე უარი თქვეს ექიმებმა, იმდენად ცუდ ადგილას იყო დაზიანება. ყველა გამოკვლევა ჩატარდა, თუკი რაიმე შეიძლებოდა, ყველაფერს აკეთებდნენ. ამ ყველაფერს მერე მოსკოვის ცნობილ ბურდენკოს კლინიკაში გზავნიდნენ, იქიდან რომ მიეღოთ უფრო დამაჯერებელი პასუხი. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს ის დანადგარი, რომელიც ასეთ პაციენტებს მკურნალობისათვის ესაჭიროებათ. საკმაოდ ძვირადღირებუ-

ლი, მაგრამ აუცილებელი. ექიმები გადარჩენის ერთ პროცენტს არ იძლეოდნენ.

ერთ ღამეს ჩამობრძანებულა იმ ეპარქიის მეუფე. როგორც უთხრეს, პარაკლისი გადაგიხადა და წავიდაო.

მეორე დღიდან ცნობადობა ნელ-ნელა დაუბრუნდა, მეხსიერება გაუმყარდა.

მადლობა უფალს! და უფლის წყალობით იმ ყველა ახლობელს, მეზობელს, თანაქალაქელს, ვინც იბრძოდა მათთან ერთად და რაც მთავარია, ლოცვებს არ აკლებდნენ.

სამეზობლო ბოჭორმის წმინდა ნინოს ეკლესიაში წასულა სალოცავად. ბიჭის მეგობრები, გოგოს მეგობრები უფლის რწმენით იყვნენ: არ გაინირებოდა და კარგად გახდებოდა.

ეს უფლის სასწაულია, მადლობა უფალს!

ყველაფერი, რაც ხდება, ეს უფალმა უკეთ იცის, რისთვის და რატომ. ვმადლობდეთ ღმერთს ყველაფრისთვის.

## **მეგობრები**

### **ტკბილი მოგონება**

ქორწილის დღე დანიშნული იყო უკვე. შეტყობინება მოვიდა, – გელოდებით ყველას, სასტუმრო რამდენ კაცზე დავჯავშნოთ?

ჩვენი მეგობარი ოდესეღო გოგოს ირთავდა ცოლად და უჩვენოდ ქორწილის ჩატარება როგორ შეიძლებოდა.

ყველამ ერთად მოვიყარეთ თავი, გეგმები უცბად ჩამოაყალიბეს: ღვინო, ხორცი, არაყი, ხილი და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი რამ. გოგა და გელა იმდროინდელ ხორცკომბინატში მუშაობდნენ, ისე რომ ხორცი პრობლემა არ იყო. ღვინო მით უმეტეს, კახეთი „ღვინის ქვეყანა“, როგორც იტყვიან.

ეს სადღაც 1983-85 წლები იქნებოდა. თვითმფრინავში ერთი სალონი ჩვენ გვქონდა დაკავებული. ბარგი იმდენად ბევრი იყო, ერთ-ერთი მფრინავი მოვიდა და ხმამაღლა თქვა: იქ ბევრი ბარგია, თანაც მგონი რალაც გატყდა და ღვინო იღვრება.

მე, როგორც გონებამ მიკარნახა, წამოვდექი და გოგას გავძახე: გოგა, ეგ ხომ ჩვენია.

— დაჯექი გოგო და გაჩუმდი, ეს ვინ არი.

მეც მეტი რა გზა მქონდა, დავჯექი, მაგრამ იმას ვერ მივხვდი, რატომ არ უნდა მეთქვა, ის ჩვენი ღვინო იყო და თან იღვრებოდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ ამბავმა ჩუმად ჩაიარა.

აი, სანატრელი ოდესაც, რომელიც გველოდა. ნოშრე და მისი იქაური ახლობლები სვეტას ძმის საშას თამაღობით დაგვხვდნენ. ნოშრეს ჩვენ დანახვაზე სიხარულით პირი გაეხა.

ერთი სამარშრუტო ტაქსი დაგვჭირდა ჩატანილი ნოზათის წასაღებად. ჩვენთან ერთად ნოშრეს ძმა და დედაც იყვნენ.

ქორწილი ერთ-ერთ ზღვისპირა რესტორანში გაიმართა გადასარეგ ატმოსფეროში. არც ქორწილამდე, არც მერე კუროოზები არ მთავრდებოდა.

დავბინავდით ინტურისტში, გადასარევი მომსახურება და რაც მთავარია რესტორანი, ბარი, სალონი, ბევრი უცხოელი, რომელთაც გასაყიდად ჰქონდათ ჩამოტანილი ტანსაცმელი.

ქართველი, რომელსაც იქვე აქვს ეს ყველაფერი და არსად წასვლა არ სჭირდება, გავიდოდა სადმე?

ჰო და დაიწყო სირბილი ერთი ნომრიდან მეორეში, სართულიდან სართულზე.

ერთ დილას ნომრებიდან გამოსულმა გოგოებმა, ყავაზე რომ ჩავედით, აღმოვაჩინეთ, ყველას ქმრებს იმ დილით აბაზანა მიეღოთ და გამოპრანჭულები გაქრნენ. არც ერთმა არ ვიცოდით, ვინ სად იყო.

ამან კი დაგვაეჭვა, მაგრამ რას ვიზამდით.

— ვაიმე, ბესოს უბანავია, არც იმის ფეხსაცმელებია ახალი, — წამოიძახა მაიამ.

— ბეჟანიც არ არის, — თქვა ეკამ.

და ასე რიგრიგობით აღმოვაჩინეთ ყველას გაქრობა.

შუადღემდე ვიცადეთ, თან დრო შაყირსა და ხუმრობაში გაგვყავდა, სალამოს გამოვიპრანჭეთ და რესტორანში ჩავედით. ერთი კარგი კუთხე შევარჩიეთ და მივუსხედით „მიტოვებულნი“.

საკმაოდ ბევრი ხალხი იყო, ლამაზი მუსიკა უკრავდა და ყველა გართობაზე იყო გადასული. ჩვენც რა უნდა გვექნა? ოფიციატს შეკვეთა მივეცით და თან ლიმნის არაყიც დავურთეთ. ორი ჭიქის მერე საოცრად კარგ გუნებაზე დავდექით. კიდევაც დაგვპატიჟეს საცეკვაოდ, მოკლედ, მხიარულებას მივეცით თავი. ქმრები არც ერთს არ გვიკითხავს და არც გვიხსენებია.



სწორედ ამ დროს მოსულან, შესულან ნომრებში და ცოლები იქ არ დახვდნენ, მიხვდნენ სად შეიძლებოდა ვყოფილიყავით. შუა ქეიფში დავადგენ თავზე, ჩვენი შემხედვარე გულიანად იცინოდნენ. ჩვენც, როგორც სტუმარ-მასპინძლის წესია, მივინვიეთ სუფრასთან. უარი არ მიგვიღია და ერთად გავაგრძელეთ. მალე მიხვდნენ, ჩვენი დაბინავება სჯობდა იქ ყოფნას, ბევრი ვიუარეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. დილით ყველას თავი გვტკიოდა.

ბიჭები ქორწილამდე მოსაგვარებელ საქმეებზე დარბოდნენ და ის კუროზიც არ დავინწყინათ. მანქანით მიდიოდნენ რალაც საქმეზე, დიამ სიგარეტს მოუკიდა და ნამწვი მანქანიდან გადაადგო. ცოტა ხანში სალონში საშინელი დამწვრის სუნი დადგა, რალაც ინვოდა. დიმა მიუბრუნდა მძღოლს და ეუბნება, – Дед, по моему у вас печка горит. ეს გამოთქმა იყო შემორჩენილი წლების მანძილზე. ის ნამწვი თავად დაეცა ზედ და ტანსაცმლიანად ინვოდა.

ქორწილი ხომ გადასარევად ჩავატარეთ, ჩვენი შემხედვარე ოდესეღებო, მართლაც, რომ კარგი ხალხი, ხმას ვეღარ იღებდნენ. ქეიფი იყო და რა ქეიფი, ქართული. ჭიქას არავინ ტოვებდა, ცეკვისაგან ხომ ფეხები გვტკიოდა. ბიჭებს ვინ უყურებდა, გოგოებმა ავიკელით იქაურობა. დიჯეი კარგი გამოგვადგა, ჩვენი სიგიჟის შემყურე გვყვებოდა და ზუსტად ისეთ სიმღერას უკრავდა, ჩვენ რომ გვიხდებოდა.

გოგას მამას სახელად კელას ეძახდნენ, ძია ანზორი, საოცრად თბილი და მოსიყვარულე კაცი, მაგრამ ამ სახელის ისტორია არ მახსოვს. ასე კურიოზებსა და მხიარულებაში გავატარეთ ქორწილი.

მას მერე აგერ უკვე 25 წელზე მეტი გავიდა. მართალია ცხოვრებამ სხვადასხვა მხარეს წაგვიყვანა, მაგრამ ის სიყვარული, ის ტკბილი მოგონება ისევ ჩვენში დარჩა და იქნება.

ღმერთმა დაგლოცოთ ყველა, ხოლო ვინც დაგვტოვა და მარადიულობაში გადავიდა, ნათელში გამყოფოთ ღმერთმა.

რა ბედნიერები ვიყავით მაშინ, განა ასე არ არის ბეჭებო?

## და საერთოდ თუ გიფიქრია რამეზე?

გიფიქრია ოდესმე, ეს ცხოვრება იმდენად პატარაა, რომ მასში ჩაკარგვა არ ღირს. გიფიქრია ოდესმე იცხოვრო ისე, რომ ყველა, ვინც შენთვის ძვირფასი და საყვარელი ადამიანია, შენ გვერდში იყოს, შენთან ახ-

ლოს. გიფიქრია ოდესმე, რომ ცხოვრება დაუნდობელია, უსამართლოა და თუ გიძებნია სწორი გამოსავალი, თუ გაფრთხილებიხარ მათ და გიზრუნია მათზე, თუ გიძებნია შენი ოაზისი, შენი წყნარი სენაკი. და თუ გიფიქრია იმაზე, როგორც ცხოვრობ და ხარ, სწორი თუა შენი ცხოვრების სტილი, მისაღები თუნდაც შენთვის. გიფიქრია იმაზე, თუ რაოდენ პატარაა ჩვენი ცხოვრება იმისთვის, რომ გული კი არ ვატკინოთ, არამედ მოვეფეროთ, გული გავუთბოთ ერთმანეთს და საერთოდ, თუ გიფიქრია რამეზე?

## **ვთესოთ და ვთესოთ სიკეთე!**

თუ გიფიქრია იმაზე, რაოდენ ლამაზია ეს ცხოვრება თავისი ტკივილითა და სიხარულით. ცა დაგნათის, ზეკარი გულში სითბოსა და რწმენის იმედს გაძლევს. უფალი წყალობას არ გაკლებს, მთავარია შენ დაინახო, მიხვდე. ჰო, პატარაა ეს წუთისოფელი, ერთი გაელვება, მაგრამ შენი გაელვება უნდა იყოს ისეთი, ახლობლებს მაინც ახსოვდეთ და ტკბილად იხსენებდნენ.

რაოდენ ბევრი სიკეთის გაკეთება შეგვიძლია, თუ გვაქვს ამის სურვილი, ეს არის მთავარი. და ბოლოს, რაღაა ჩვენი ყოფა, თუ ეგ მაინც არ ვაკეთებთ, ფუჭი ყოფილა ყველაფერი. იქნებ ერთად გვეფიქრა, რა და როგორ ვაკეთოთ, ჩვენ გარშემო ვინც არიან, სიხარული მივანიჭოთ, გული გავუთბოთ. და თუ გიფიქრია, რომ ეს ყველაზე საჭიროა და ძვირფასი ადამიანისთვის.

მაშ, მოდი, ჩემო კარგო, ჩვენ დავიწყოთ, ჩვენ ვაკეთოთ და უფლის წყალობით ბევრი მოგვებაძავს, მაგალითს აიღებს ჩვენგან. აი მაშინ კი შევძლებთ ბოროტებას ვაჯობოთ და ჩვენი ნაფიქრალიც სწორი და უფლისთვის მისაღები იქნება. იფიქრე, იფიქრე ამაზე, მე კი დაგელოდები იმ იმედით, რომ მოხვალ და ერთად გავუყვებით ამ ეკლიან ბილიკს. ვთესოთ და ვთესოთ სიკეთე, ბევრი თუ არა, ცოტა მაინც ხომ ამოვა. ჩვენი სულებიც დამშვიდდება, გონება დანყნარდება.

## გზა მშვიდობისა

### აბა ჩემო ტკბილო პაპებო როგორ ხართ?

ვიცი და მჯერა, მანდ უფრო კარგად იქნებით, ვიდრე ამ მტანჯველ ცხოვრებაში. ბოლო თქვენი ნაფიქრალი ალბათ ასეთი იყო: „წამია წუთისოფელი“. ჰო, წამია ჩემო კარგებო და მხოლოდ ერთი გაელვება, თუნდაც გაზაფხულის ასი გაელვება იყოს. პაპი, შენ შემდეგ ძია რეზი ჩემს იმედად დამიტოვე ამ ცხოვრებაში, იმედად იმისა, რომ ის სადღაც აქვე ცხოვრობდა, არსებობდა ბუმბერაზი, საუცხოო ადამიანი. ვიცოდი მისი არსებობის და ისიც დიდ შვებას მაძლევდა, სულს მიმშვიდებდა. იყო ადამიანი ამ სოფელში, რომელთანაც როგორც მამასთან შემეძლო მისვლა და თავისუფლად საუბარი ყველაზე და ყველაფერზე ამქვეყნად. შენ კი, ვიცი გახარებული ხარ და თქვენი სულები ზეიმობენ ერთადყოფნას, მაგრამ ჩვენ, ჩვენ ხომ ძალიან გვიყვარხართ და ძალიან გვენატრებით. ინგა დეიდასთან რომ ვიყავი, იქ რეზი თვარაძის სიცარიელე იგრძნობოდა. მისი საოცარი ტკბილი შეხვედრა და ორი სიტყვა: „ო, მოდი გვანცა შვილო!“ ეს ძალიან დამაკლდა და ძალიან მენატრება. საოცარი ღიმილი აქვს, საოცარი თბილი თვალები და მშვიდი, განონასწორებული საუბარი. ყოველთვის დიდი მონდომებით და გულმოდგინედ გისმენდა, მერე გეტყოდა თავის სათქმელს. ისეთი სიყვარულით ახსენებდა, ჭაბუკა ამირეჯიბიო, გაოცდებოდი, ამ ორ სიტყვაში უკვე იგრძნობოდა დიდი სიყვარული და სიტბო ამ ორ ადამიანს შორის. ნახვედით და დაგვტოვეთ უთქვენოდ ობლები, თქვენგან მიტოვებულები. არა, არ გსაყვედურობთ, ასეთია უკუღმართი წუთისოფელი. ასეთი ნათქვამიც არის: „ღმერთსაც კარგი უნდაო“. არ ვიცი რატომ, მაგრამ ეტყობა მანდაც საჭირონი ხართ. მენატრებით, მენატრება თქვენთან ბაასი, უბრალოდ ორი პაპა მენატრება, ივანე ქეშიკაშვილი და რევაზ თვარაძე.

შეხვედრამდე, ჩემო საყვარელო პაპებო!

## შინაარსი

### პოეზია

ისე მინდა ვწერო სიტყვა .....	5
ვახოს!.....	6
ვედრება ღვთისმშობელს .....	6
თვალს ცრემლი დამდენია.....	7
იცი, კარგო, შენ ვინა ხარ?.....	8
ფიქრებმა გულსა ჩასძახეს.....	8
სიყვარული .....	9
დავეცე? ოჰ, არა .....	9
მოვიარე მთა და ველი .....	10
ღამის ტალღებს გამოჰყევი.....	11
რას ვინატრებდი? .....	11
ხელს გავინვდი.....	12
უფალი არის, არს და იქნება! .....	12
მამას.....	13
ცხოვრება ერთი წამია! .....	13
მტრედი .....	14
მე შენ მიყვარხარ .....	14

მთიდან ბარათი მივიღე .....	15
ოცნების კარიბჭე ჩამომენგრა.....	15
ვახოს მეგობრებს .....	16
ფოთოლო, შენი ჭირიმე.....	16
მონატრება.....	17
ალალ მეო .....	18
მაშ ნულარ გიკვირს ჩემიცა .....	19
მე მაპატიე .....	19
რალაც ქრება, რალაც ჩნდება.....	20
ისე ძლიერ მინდა შენთან.....	20
მინა ვარ .....	21
„სიზმრად ვნახე ბადრი მთვარე...“ .....	22
„დიდება მოთმინებასა შენსა უფალო იესო...“ .....	22
თვალები.....	23
სიკვდილის ჩივილი.....	24
ქალი ხარ!.....	24
ზღვის პირას იდგა ფორტეპიანო.....	24
დედის გული .....	25
გონება და გული .....	25
თვალს ნათელი დამიბინდა.....	26
ვარდისფერი წვიმის წვეთი .....	26
გმადლობ უფალო .....	27
რად მინდა ასე ყოფნა.....	28
ნეტავ რას მთხოვდნენ, რას.....	28
ალუჩობის სურნელი .....	29
„მწყურისხარ ძლიერ, ძლიერ“ .....	29
იასამანი .....	30
დადგება დრო და... ..	30
წვიმა.....	31
სიყვარული ვარდისფერი იყო .....	31
ნეტავი ყორედ მაქცია.....	32
ოცნება, ხილვა, ცა.....	33
ახლა მშვენიერი ვარ.....	33
ალავერდს ვანთებ მათთვის კელაპტრებს .....	33
ნათელი ფასობს ბნელითა .....	34
სულის სიმფონია .....	34
ისე მინდა ვქსოვო წინდა.....	35

სიცოცხლის წამის ფასი.....	36
ოცნება.....	37
რატომ ჩამუქდა ზეცა.....	37
ისეთ ლექსს დაწერ.....	38
და პატარა, სულ პატარა ფიფქი ციდან.....	38
ცას მივაშურებ, ღრუბელს შევერევი.....	39
ქეთის.....	39
„ვიფიქრე გათენდა...“.....	40
სიკვდილო, რასა დამყვები.....	40
სიტყვიერი მონყალბა.....	41
გვირილები წვიმდა, წვიმდა.....	41
„ითხოვდე და მოგეცემარ...“.....	42
გამომინოდე ხელი.....	42
კიდევაც დაიბადება.....	42
სხვის გულს გაუხდა ზიარად.....	43
შემეშველე, დი.....	44
მეგობარო.....	44
მომნატრებია.....	45
„ასე უცხოოდ რად მიყურებ...“.....	46
„ღამე წყვდიადში ჩაფლულს...“.....	46
„ვზივარ ჩემთვის მარტო...“.....	47
„რა ვნებიანი ღამეა...“.....	48
„რად გავჩენილვარ ქალადა...“.....	48
„სული გიბრწყინოს უფალმა...“.....	49
„ვინამცა გაჭირვებულსა...“.....	49
„ფშაველო, სტუმრად მოგიველ...“.....	49
„მე ხომ გულიანად არ გამცინებია...“.....	50
„ირმის რქის ყანნად მაქცია...“.....	50
„კალმახად გადავიქცევი...“.....	50
„მე ვიცი რაფერ ქალაც ვარ...“.....	51
ჭაბუა ამირეჯიბს.....	51
„მინდორს ეფინა ვარდის ფურცლები...“.....	51
„რალაც მინდოდა მეთქვა...“.....	52
„სიკვდილო, რასა დამყვები...“.....	52
„ვაი, რა კარგი, რა ლალი...“.....	53
„ღამით ანგელოზი მომიფრინდა...“.....	53

## პროზა

სრულიად შემთხვევით.....	57
საქანელა და სკამი.....	60
ფიქრები .....	61
„სულითა ვცოცხლობთ ისევე, როცა ლეშითა ვკვდებითა“ .....	62
შეხვედრა წარსულთან.....	63
ინტერვიუ საკუთარ თავთან .....	66
ჩემსსაყვარელი ძია ჭაბუას!.....	68
სიჩუმის გრიალი .....	69
ვედრება .....	71
სურათი .....	71
ლაბირინთი.....	73
ქალის და ქარის საუბარი.....	74
ფოთოლი.....	76
ტირიფი .....	78
გზა .....	79
<b>მრი ნანყვეტი ერთი ქალის დღიურიდან</b>	
უფლის წყალობით.....	81
მეგობრები.....	82
და საერთოდ თუ გიფიქრია რამეზე? .....	84
ვთესოთ და ვთესოთ სიკეთე .....	85
გზა მშვიდობისა.....	86

[keshikashvili@rambler.ru](mailto:keshikashvili@rambler.ru)

დაიბეჭდა შპს „ფავორიტი პრინტში“





